# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 14 მაისი, 2010 წელი.

№89 (6455)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.





## თავისი ჭკუით ნიკა რურუა გოდერძი მახარაშვილის მაგვარად რეზო ჩხეიძეს კლავს... 2





## ზურაბ ნოღაიდელი კრემლსა და თბილისს შორის დამაკავშირებელი რგოლია 8



## 2 „არ აგულავთ უგულავა"

## ორთა შორის გახლეჩილი საქართველო 5

## ტრანშში გრანტების მოყვარულები, 6

ანუ „თავისუფლების ინსტიტუტის" და ტელეკომპანია „კავკასიის" ერთობლივი სპეცოპერაცია კოდური სახელით „ბარიერი!"





## ავთანდილ დემეტრაშვილი: ფორმულა „პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს საგარეო და საშინაო პოლიტიკას" აღარ იარსებებს 3

## „სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტების შემცირების მიზეზი რუსეთია" 4



## დავით ნარმანია: ქვეყანა კრიზისიდან ბოლომდე გამოსული არ არის

გუშინდელი ფოსტიდან

# დიდი ბოდიში კულტურის მინისტრთან...

## ანუ თავისი ჭკუით ნიკა რურუა გოდერძი მახარაშვილის მაგვარად რეზო ჩხეიძეს კლავს...

ეს ჩვენი კულტურისა და მეცნიერების მინისტრი ნიკა რურუა თვითონ რა პროფესიის კაცია, არ ვიცი, მაგრამ ამ ბოლო დროს კინომცოდნეობაც დაუწყია და, ვინაიდან ამჟამინდელ ქართულ კინოზე სათქმელი არა აქვს რა, საბჭოთა პერიოდის ქართული კინოს, როგორც იტყვიან, მიწაში დებს...

თვალებს არ დავუჯერე, ამას წინათ „პრაიმტაიმში" იმნაირ რასმე წერს: საბჭოთა პერიოდში ფილმი უნდა ყოფილიყო ისეთი, რომ მაყურებელი დაეთრგუნა, დაეჩაგრა და აეტირებინაო. დიდი ბოდიში რეჟისორთან ფილმისა „ჯარისკაცის მამა", მთავარი გმირის შვილი რომ არ დალუპულიყო, ხომ შეიძლებოდაო, მაგრამ არა – ვილაცას ხომ უნდა ეტირაო, სიმწარეში უნდა გვენახა სიამოვნებაო, ეს არის რუსული ფენომენი, სადაც ჰეფი ენდი ეზიზღებათ, როგორც კინოში, ისე ცხოვრებაშიო.

ინგლისური ჰეფი ენდი, როგორც გაკითხვის შემდეგ შევიტყვე, ბედნიერი დასასრული ყოფილა. ასე რომ, ჩვენს საეჭვოდ ოკეანეგავლილ-გამოვლილ პატივცემულ მინისტრს, ჩანს, ქართული აღარ „ეკერკება" და ახლა უკვე ინგლისურად გვემოძღვრავს რუსულის ჯიბრზე და გამოსაჯავრებლად.

არადა, რა ვუყოთ, თუ ეს ჰეფი ენდი „შეზიზღებულია" არა მარტო რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამაში", არამედ თენგიზ აბულაძის „ვედრებაშიც", „ნატვრის ხეშიც" და „მონანიებაშიც"?! ნუთუ, ჩვენდა საუბედუროდ, ამ ჩვენმა გაკინომცოდნევებულმა გუშინდელმა მხედრიონელმა კულტურის მინისტრმა ყურის მოკვრით მაინც არა უწყის რა ამ ოთხივე ქართული ფილმის მსოფლიო სახელის თაობაზე?!



როგორი ამბავია, მსოფლიოს მოსწონს, სრულიად შემთხვევით გამინისტრებული ვარდოსანი ნიკა რურუა კი, როგორც უკვე ვთქვით, მიწაში დებს ამ მსოფლიო სახელის ფილმს, ლაპარაკია „ჯარისკაცის მამაზე", თავის რეჟისორიანად, რომლის ღვაწლიც ნამდვილად ფასდაუდებელია არა მხოლოდ ქართული კულტურის განვითარების მართლაცდა საშვილიშვილო საქმეში.

მაგრამ მთავარი იცით, რა არის?! მთავარი ის არის, რომ პატივცემული ვაიმინისტრი მთავარს მალავს... ეს მთავარი კი ის არის, რომ ერთ-ერთი ახალი ფილმის გადაღების დროს ფეხმოტეხილი რეზო ჩხეიძე ამჟამად პეტერბურგშია და იქ მკურნალობს, ხოლო მკურნალობის ხარჯებს ცნობილი პეტერბურგელი ბიზნესმენი ალექსანდრე ებრალიძე იხდის, რომელი ბიზნესმენიც აგრერიგად „უყვართ" ხელისუფლებაში სამუდამოდ ყოფნის, ანუ სამუდამო „ჰეფი ენდის" თავგადაკვლით მსურველ ნაციონალებს!..

**გიორგი მახარაშვილი,**
ოღონდ სხვა ჯარისკაცის მამა.
ქ. გურჯაანი.

სამეზობლო პოლიტიკა

## ევროკავშირი კონფლიქტების გამო შეშფოთებულია

**ევროკავშირის გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში კომისარი შტეფან ფულეს განცხადებით, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის განვითარებას კონფლიქტები მნიშვნელოვნად აფერხებს.**

ამის შესახებ ფულემ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებული ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმების შესრულების შუალედური ანგარიშის პრეზენტაციისას განაცხადა.

– ჩვენ ძალიან გვაღელვებს კონფლიქტების თემა. კონფლიქტები მართლაც მნიშვნელოვნად აფერხებს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის განვითარებას და უკარგავს ქვეყნებს შანსს, რომ იყვნენ უფრო წარმატებულები. საქართველოს ხელისუფლებასთან ჩვენ მუდმივი მოლაპარაკებები გვაქვს, რათა მაქსიმალურად მოხდეს იმ ინსტრუმენტების გამოყენება, რასაც ჩვენს შორის არსებული კავშირი ითვალისწინებს, საუბარია ასოცირების შესახებ ხელშეკრულებაზე, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ და მობილური პარტნიორობის საკითხებში, – აღნიშნა კომისარმა.

მისივე თქმით, ეს საკითხები ითვალისწინებს სრულ ჩართულობას და მჭიდრო თანამშრომლობას.

**ჯი-ეიჩ-ენი**

პროტესტი

# ადვოკატები პოლიტიკური მოთხოვნების წამოჭრით იმუქრებიან

**ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის კონსტიტუცია იმდენჯერ შეიცვალა, იმდენი კანონი დაემატა და ამოაკლდა, რომ ამ სფეროს კარგ მცოდნესაც აერევა თავგზა სწორისა და არასწორის გარკვევაში. ცვლილებები რა თქმა უნდა, ყველაზე ხშირად საარჩევნო კანონმდებლობას ეხებოდა, როგორც ამბობდნენ არჩევნების უფრო დემოკრატიულად და გამჭვირვალედ ჩატარებისთვის.** როგორი დემოკრატიული არჩევნები გვქონდა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში უკვე სხვა საქმეა. ფაქტი ერთია, კონსტიტუცია ისევ იცვლება დემეტრაშვილის ხელმძღვანელობით და ეს ცვლილება საარჩევნო კოდექსსაც შეეხება. თავის მხრივ უმრავლესობა თანხმდება, რომ საარჩევნო კანონი სრულყოფილი არ არის, მაგრამ მისი შეცვლის ყველას საკუთარი ვარიანტი აქვს. მაგალითად, ადვოკატთა საინიციატივო ჯგუფს, რომლის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა შალვა ხაჭაპურიძემ განაცხადა, რომ თუკი ხელისუფლება მათ მიერ შეთავაზებულ საკანონმდებლო ინიციატივებს არ გაითვალისწინებს, სამართლებრივი მოთხოვნები პოლიტიკურ მოთხოვნებში გადაიზრდება.

ყოველი დღის ბოლოს 18:00 საათზე საკანონმდებლო ორგანოსთან საინფორმაციო ბრიფინგი მოეწყობა და ადვოკატთა საინიციატივო ჯგუფი ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით შეფასებებს წარმოადგენს. ადვოკატები მოქალაქეებს უფრო იურიდიულ დახმარებასაც გაუწევენ და ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა მიეცემა სამართლებრივ საკითხზე ადვოკატთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებს მიმართოს.



**შალვა ხაჭაპურიძე, ადვოკატთა საინიციატივო ჯგუფის ერთ-ერთი ხელმძღვანელი:** ჩვენ მოვითხოვთ საარჩევნო კოდექსში იმ ათი ცვლილების შეტანას, რომელმაც ქვეყანაში ნორმალური საარჩევნო გარემოს შექმნა უნდა უზრუნველყოს. აქამდე გვქონდა იმედი, რომ NDI-ის ფორმატში ოპოზიციისა და ხელისუფლების შეთანხმებები ბოლომდე დაცული იქნებოდა, მაგრამ ხელისუფლებამ პირობები დაარღვია და საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები უკვე ველარ გამოდგება სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად – უმთავრესი, რასაც მოვითხოვთ, ესაა 50-პროცენტიანი ბარიერი, საკითხის ხმების ორი მესამედით გადაწყვეტა, ცესკოში უბნებზე ვიდეოთვალის დამონტაჟება, გადაღებული ვიდეომასალის ხელმისაწვდომობა, ზონარდაკრული ჟურნალის შემოღება, ამომრჩევლის რიგითობის მიხედვით საათობრივი მონაცემების გატარება. თუკი აღნიშნული ინიციატივები არ განხორციელდება, ადგილობრივი არჩევნები იქნება მხოლოდ იმიტაცია.

ადვოკატები ქვეყანაში არჩევნების შემდგომი პროცესის რევოლუციური სცენარით განვითარების საშიშროებას ხედავენ, რის გამოც მათი აზრით ეს საკანონმდებლო ინიციატივებს ვითარების პრევენციის შესაძლებლობაც იქნება. ნაკლებსავარაუდოა, რომ არჩევნებამდე 16 დღით ადრე საარჩევნო კოდექსში ერთბაშად 10 ცვლილება შევიდეს, თუმცა შესაძლებელია, რომ კომპრომისის მიზნით რაღაც საკითხებზე მაინც მოხერხდეს შეთანხმება. ასეა თუ ისე საქართველოში იდეალური არჩევნებიც, რომ ჩატარდეს რაღაც დოზით არეულობის საფრთხე მაინც მოსალოდნელია, საარჩევო კანონს კი მსგავს ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

**ანა წიწილაშვილი**

აქცია

# „არ აგულავო უგულავა"

**წინასაარჩევნოდ პოლიტიკური პარტიები თუ ორგანიზაციები აქტიურდებიან. ოპოზიციური პარტიები განსაკუთრებულ „ყურადღებას იჩენენ" „ნაციონალური მოძრაობის" მერობის კანდიდატის მიმართ. „გასაკეთებელი კიდევ ბევრია", ამ სლოგანის ქვეშ ერთიანდება მთელი ნაციონალური მოძრაობა და მერობის კანდიდატი გიგი უგულავა.**

ახალგაზრდულმა ორგანიზაცია „არამ", თბილისის მერიასთან საპროტესტო აქცია გამართა და 30 მაისის არჩევნებთან დაკავშირებით საზოგადოებისადმი მიმართვა გაახმიანა. აქციის დევიზი იყო „არ აგულავო უგულავა". აქციის მონაწილეებმა მერიის შენობასთან ხელისუფლების მაღალჩინოსანთა მშვენბარე ბინების ფოტოები გამოფინეს და „წინასაარჩევნოდ" მმართველი პარტიის ლოზუნგს: „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია" შეუსაბამეს. ასევე აქციის მონაწილეებმა იმ ასი ოჯახის ფოტოქრონიკა წარმოადგინეს, რომლებიც ხელისუფლების პირობებში უსახლკაროდ ცხოვრობენ. მოძრაობა „არას" განმარტებით, მათ მოიპოვეს ჩინოვნიკების სახლების სურათები, სადაც კარგად ჩანს 2003 წლიდან დღემდე „გაკეთებული, საქმე ლაპარაკის ნაცვლად", თუმცა როგორც აღმოჩნდა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია, მათ შორის... უგულავას მშვენბარე ვილა წყნეთში. როგორც მოძრაობის ლიდერები ამბობენ, გიგი უგულავას ან თბილისის მერიას საკმარისი დრო ჰქონდა (მთელი 5 წელიწადიძ, რომ ის უსახლკარო ადამიანები დაებინავებინა, რომლებიც ზამთარსა და ზაფხულს ღია ცის ქვეშ ატარებენ, მაგრამ მათი დრო, ენერგია და რა თქმა უნდა, ფინანსები მიმართული იყო თავიანთი კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.



ახალგაზრდული ორგანიზაცია ფიქრობს, რომ საზოგადოებამ კიდევ ერთხელ უნდა დაინახოს, რას უნდა ველოდოთ ამ ხელისუფლებისგან. ისინი საზოგადოებას მოუწოდებენ, მაისის არჩევნებზე მისულნი, კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ. მათი თქმით, თუკი ხელისუფლებას მხარდაჭერა ექნება, ქვეყანაში უსამართლობა კვლავაც გაგრძელდება.

**ლევან ჩიტაძე, მოძრაობა „არას" ერთ-ერთი ლიდერი:** „გიგი უგულავა არ უნდა ავირჩიოთ თბილისის მერად, იგი მოსახლეობას სხვადასხვა გზით ატყუებს. უგულავა და თარგამაძე ერთად აკეთებენ ბიზნესს, ის არის ბიზნესხულიგანი. მას არ ეგონოს, რომ პენსიონერები, რადგან მათ 10-ლარიანი დანამატით დაეხმარა, ხმას მისცემენ. იგი ატყუებს მოსახლეობას, რომ საქმეს კეთილი გულით აკეთებს და ხან ხაბაზის, ხანაც მუშის ამპლუაში წარმოაჩენს თავის თავს წინასაარჩევნოდ. ამომრჩევლებს მოვუწოდებთ, ადგილზე მისულებმა ობიექტური გადაწყვეტილება მიიღონ და ხმა თავიანთ სასურველ კანდიდატს მისცენ".

მოძრაობა „არას" განცხადებით, ისინი აქციის დასრულებისთანავე აპირებენ მერიაში იმ უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების განცხადების შეტანას, რომელთა ცხოვრების პირობებიც ორგანიზაციამ სულ ახლახან შეისწავლა. ლევან ჩიტაძის თქმით ისინი კიდევ გამართავენ სხვადასხვა სახის საპროტესტო აქციებს და ყველგან გააკრავენ თავიანთ დევიზს, „არ აგულავო უგულავა". 30 მაისს არჩევნების შემდეგ კი, თუ გამარჯვება კვლავ ნაციონალურ მოძრაობას ერგო, „არა" უფრო ფართომასშტაბიან აქციას გამართავს.

**ხატია მუსერიძე**

მთავარი თემა

# ფორმულა „პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს საგარეო და საშინაო პოლიტიკას“ აღარ იარსებებს



გვესაუბრება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ავთანდილ დემეტრაშვილი

**— ბატონო ავთანდილ, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ თქვენი და თენგიზ შარმანაშვილის მიერ შემუშავებული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი საბაზისოდ აირჩია. რა ცვლილებების განხორციელებაა მოსალოდნელი საქართველოს კონსტიტუციაში ამ პროექტის საფუძველზე?**

— მთავარი ცვლილება პრეზიდენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ურთიერთობებსა და საერთო სახელმწიფოებრივ სისტემაში პრეზიდენტის ადგილის განსაზღვრას შეეხება. თუ დღეს პრეზიდენტი რეალურად არის აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიც, ამ პროექტის თანახმად, მთავრობას, ძალოვანი მინისტრების ჩათვლით, პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს, პრეზიდენტი კი მხოლოდ არბიტრი, სახელმწიფოს მეთაური და რამდენიმე სხვა გარკვეული ფუნქციის შემსრულებელი ხდება, ანუ ფორმულა „პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს საგარეო და საშინაო პოლიტიკას“ აღარ იარსებებს.

**— რამდენად იზიარებთ შეხედულებას, რომ პრეზიდენტისა და ძლიერი პრემიერის შეუთავსებლობის პირობებში შესაძლოა, აღმასრულებელი ხელისუფლების პარალიზების საფრთხე შეიქმნას? ხომ არ გამოიწვევს ეს ისეთივე სახელისუფლებო კრიზისს, როგორსაც უკრაინაში ჰქონდა ადგილი?**

— მე ვფიქრობ, ასეთი საშიშროება საქართველოში არ გვაქვს. ჩვენი პროექტის თანახმად, პრემიერ-მინისტრს არ აქვს განუზომლად დიდი უფლებები. უბრალოდ იყო შენიშვნები, რომ უნდა ვეძებოთ გზები და ინსტიტუციები, რომელიც პრემიერსა და პარლამენტს შორის ურთიერთობას დააბალანსებს, რათა მთელი ძალაუფლება პრემიერ-მინისტრზე არ იყოს კონცენტრირებული. ჩვენ ვიფიქრეთ ამაზე. მაგალითად, თუ პრეზიდენტი პარლამენტში ნდობის მისაღებად პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას წარადგენდა და საკანონმდებლო ორგანო მას ნდობას გამოუცხადებდა, პრემიერს ექნებოდა ლეგიტიმურობის ძალიან მაღალი ხარისხი. ასეთ შემთხვევაში, იმ მიზეზით, რომ პრემიერს მთელმა პარლამენტმა ნდობა გამოუცხადა, ის თავის მინისტრებთან მიმართებაში შესაძლოა, ტირანად იქცეს. ამიტომ გავითვალისწინეთ, რომ პარლამენტი მთავრობის მთელ შემადგენლობას უცხადებს ნდობას. მართალია, პრემიერი პირველი მინისტრია, მაგრამ ცალკე არსებული ფიგურა არ არის.

**— სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის დასაწყისში აქტუალური იყო ორპალატიანი პარლამენტის იდეაც. თქვენი პროექტის თავდაპირველი ვარიანტი ორპალატიანი პარლამენტის შექმნას ითვალისწინებდა. დღეს რატომ არ განიხილება ეს საკითხი?**

— ორპალატიანი პარლამენტის იდეის ირგვლივ კომისიის წევრების შეთანხმება ვერ მოხერხდა და ეს ნაწილი პროექტიდან ამოვიღეთ. იგივე ლევან რამიშვილის პროექტში ჩემთვის სწორედ ორპალატიანი პარლამენტის იდეაა მისაღები. რაც შეეხება გონაშვილისა და ბოძაშვილის პროექტს, როგორც აღინიშნა, იქ კარგად არის ჩამოყალიბებული სასამართლო ხელისუფლების პრინციპები. კომისია გააგრძელებს მუშაობას პროექტის დასახვეწად და შესაძლოა, სხვა პროექტების გარკვეული პუნქტები საბაზისო ვარიანტში იქნეს გადმოტანილი.

**— სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ არჩევანი მხოლოდ კონსტიტუციის წევრების მიერ მომზადებულ 3 პროექტს შორის გააკეთა. რატომ არ განიხილეთ ის პროექტები, რომლებიც კომისიის არაწევრების მიერ იყო შემუშავებული?**

— თუ იგულისხმება საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის კონცეფცია, მათ პროექტი ჩვენთან განსახილველად არ შემოუტანიათ. საზოგადოებრივი კომისია აპირებს 200 000 ხელმოწერა შეაგროვოს და პროექტი პარლამენტში შეიტანოს. რაც შეეხება ვახტანგ ხმალაძისა და იური ტაბუცაძის პროექტს, ჩვენ ამ პროექტიდან რაღაც-რაღაცები აღებულიც კი გვაქვს. ამასთან, ჩვენ არ ვართ ვალდებული, კომისიის სხდომაზე ყველა პროექტი გავიტანოთ. ისინი განხილულ იქნა სამუშაო ჯგუფებში და ის რაციონალური და ჩვენთვის მისაღები ელემენტები, რომელიც აღნიშნულ პროექტებში იყო, გავითვალისწინეთ.

**— თქვენ თუ გაეცანით საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებულ ალტერნატიულ პროექტს და როგორ აფასებთ მას? რამდენად განსხვავდება იგი თქვენი პროექტისგან?**

— რა თქმა უნდა, გავეცანი, მიუხედავად იმისა, რომ მის პრეზენტაციაზე არ დამპატიჟეს. არადა, მინდა, გითხრათ, რომ დიდი განსხვავება არ არსებობს. უბრალოდ, მათ წმინდა სახის საპარლამენტო რესპუბლიკა აქვთ წარმოდგენილი. ეს პრინციპი გარკვეულწილად ჩვენს პროექტს ეთანხმება, თუმცა მათთან პრეზიდენტს უფრო მეტი უფლებამოსილებები გააჩნია. კერძოდ, პრეზიდენტი ნიშნავს მოსამართლეებს, რაც ნონსენსად მიგვაჩნია. მე ვთვლი, რომ 2005 წლიდან, როდესაც პრეზიდენტი დაშორდა აღმასრულებელ ხელისუფლებას და იუსტიციის საბჭო აღარ არის მისი სათათბირო ორგანო, ჩვენ პროგრესისკენ მივდივართ, ისინი კი უკან ბრუნდებიან. არის სხვა გარკვეული ასპექტებიც, რომლებზეც დღეს საუბარი არ მსურს. თუ საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია მოახერხებს 200 000 ხელმოწერის შეგროვებას და ცენტრალური საარჩევნო კომისია დაადგენს, რომ ეს კანონის ფარგლებში განხორციელდა, ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს — პარლამენტში კონსტიტუციური ცვლილებების ორი პროექტი შევიდეს.

**— საბაზისო პროექტად არჩევის შემდეგ რა პროცედურები უნდა გაიაროს საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტმა, სანამ დასრულებული სახით წარედგინება პარლამენტს?**

— ამ პროექტს უკვე რამდენიმე დღეში ვენეციის კომისიას წარვუდგენთ. 5 ივნისს იქნება პროექტის პრეზენტაცია ვენეციის კომისიაში. შემდეგ ისინი წარმოგვიდგენენ საკუთარ შენიშვნებს, რომლის მიღების შემდეგ გერმანიაში დიდი კონფერენცია გაიმართება. შემდეგ მიღებულ რეკომენდაციებს ისევ საქართველოში განვიხილავთ და ივლისის ბოლოს კანონპროექტს პრეზიდენტს წარვუდგენთ, რომელიც მას დასამტკიცებლად პარლამენტს გადასცემს.

**— ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსალოდნელია თუ არა, რომ პროექტში პრინციპული ცვლილებები კიდევ განხორციელდეს?**

— არა მგონია. თუ კომისიის წევრებს რაიმე პრინციპული შენიშვნები ჰქონდათ, დღეს უნდა ეთქვათ, თუმცა პრინციპულად უარყოფითი შეფასება არც ერთი არ ყოფილა. რაც შეეხება ვენეციის კომისიას, გარკვეული რეკომენდაციები მისგან მიღებული გვაქვს, ამიტომ მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებების იმ ნაწილს გადავუგზავნით, რომელიც არსებითად ახალი და მნიშვნელოვანია ვენეციის კომისიისთვის.

**— როდიდან ამოქმედდება ცვლილებების მიღების შემთხვევაში საქართველოს კონსტიტუციის განახლებული ვარიანტი?**

— ახალი კონსტიტუციის ამოქმედების ვადები, პარლამენტმა, როგორც უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, უნდა განსაზღვროს.

**ნინო ჩიჩუა,**
საინფორმაციო სააგენტო „პირველი“

ყველაფერი იცვლება, გარდა არჩევნებისა...

# მართლა მოთოვა კურდღელი ზამთარში?!

## მარტო ყურცქვიტა მოთოვა კი არა, შველიც გამოურიაო, ადრინდელივით ამტკიცებენ ახლაც

**ბევრი არ მიფიქრია, იოლ გზას დავადექი — სათაური დიდი აკაკის „კუდაბზიკეთიდან“ მოვიხელთე; სათქმელი შესავლით რომ უნდა დამეწყო, რიტორიკას და ბრძენთაბრძენ ილიას დავესესხე.**

სადღაც ისიც წამიკითხავს, რომ თურმე, „ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა გეგმით მოქმედებს დემოკრატია და როგორი ადამიანები ახორციელებენ მას. ფრენის უცბად სწავლა არ შეიძლება, მთავარია, ვიაროთ საკუთარი ფეხებით, ნუ მივსცემთ უფლებას, სხვებმა გვატარონ...“

აბა, ვის არ მოეხსენება, ჩვენი ბავშვობა და სწავლა-განათლება ზღაპრებით რომ დავიწყეთ. ჩვენივე ბავშვობიდან რომ მოვდივართ, ეს ჯერ კიდევ როდის ბრძანა ეკზიუპერმა. არც იმის პირველაღმომჩენის სახელის დაჩემებას ვცდილობ, რაზეც ქვემოთ მსურს გაუწყოთ.

ყოველდღიურად გვმოძღვრავენ და, ამის გამოისობით, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესად გავიხადეთ და ცხოვრების წესად ვაქციეთ. არჩევნებიდან არჩევნებამდე, რომ იტყვიან, „ჯეჯილივით ვიზარდეთ“, მოკლედ, „გავჯეჯილდით“ და იმ დროიდან აქამომდე, დროის ფრიალტრიალმა, ომებმა, წვიმამ და წუწუმამ, თოვლმა და ქარბუქმა, მიწისძვრებმა თუ წყალდიდობებმა და სხვა ათასმა ქარიშხალმა ვერ ამოშალა და ვერც ამოშლის ჩვენი გონებიდან ის, რაც არაერთმა „ჭკუათმყოფელმა“ სამახსოვროდ გვარგუნა ამომრჩეველსა და არაამომრჩეველს. ვილა ჩივის წყალს გატანებულ უზარმაზარ თანხას, არჩევნებისთვის ქვეყნის ხაზინიდან მოიხელთეს საკუთარი პორტრე-



ტებისთვის, მომწოდებელი პლაკატებისთვის, შეგონებებისთვის, ცრუ დაპირებებისა თუ მოსყიდვისთვის, იმის „დასამტკიცებლად, რომ მავანი იქსი ქვეყნის გადამრჩენია! იგრეკი მამულის ღირსეული შვილია! ზეტი კი სულაც მესიაა!“

ამასწინანდელ არჩევნებზე, მგონი საპარლამენტო უნდა ყოფილიყო, ჩვენში — იმერეთში, ღორებიც კი დანომრეს; ცხადია, მოწინააღმდეგეთა მხარდამჭერებმა, თორემ ამ ფორმით რომელი ჭკუათმყოფელი კანდიდატი აუწყებდა ხალხს სიმართლეს — მე მესია კი არა, ღორივით ღორმუცელა გახლავართო? ზოგიერთ რეგიონში, თურმე ნუ იტყვი და, სახედრებიც დაუნომრავთ. არა, კაცმა რომ თქვას, ეს უწყინარი ცხოველები რაღას „გააიმასქნეს“ და ჩართეს საარჩევნო ხათაბალაში?!

სამართლიანი არ ვიქნებით, არ ვთქვათ, რომ არჩევნები, უძველესი დროიდან, სიყალბესა და ცბიერებაზე ყოფილა დაფუძნებული. ასე რომ არ ყოფილიყო, აკაკი „კუდაბზიკეთს“ არ შექმნიდა და არ შემოგვთავაზებდა. იქ, მკბენარის თაყვანისცემა მოუნდომებიათ, მაგრამ ვერ გარკვეულან, ვისთვის მიეცათ უპირატესობა: ტილისთვის თუ რწყილისთვის, მღვდელისა და ფოფოდიასი არ იყოს, ზოგს პირველი მოსწონდა თურმე და ზოგს — მეორე! არჩევნები გაუჩაღებიათ, ორად გაყოფილან, ერთ მხარეს ტილი გამოუყვანია თავის კანდიდატად, მეორეს — რწყილი. ვერ შეთანხმებულან და ცხვირპირი დაულეწავთ ერთურთისთვის (ახია მაგათზე!), შეუბრალებლად აყრიდნენ თურმე ნაცარს ერთურთს თვალებში.

იხ. 4 გვ.

ინფორმაცია

### სამი დაკავებული ქართველი გაათავისუფლეს

**ცხინვალის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ უკანონოდ დაკავებული კიდევ სამი ქართველი გაანთავისუფლა.**

**ამის შესახებ სააგენტო „რესი“ ცხინვალის სეპარატისტული რეჟიმის ე.წ. სახალხო დამცველზე დავით სანაკოევზე დაყრდნობით იუწყება.**

**— 1986 წელს დაბადებული ლევან ბიგანაშვილი, 1974 წელს დაბადებული მერაბ თვაური და 1986 წელს დაბადებული ალექს დიდებაშვილი ევროკავშირის დამკვირვებლებს საზღვარზე გადავეცით. ყველა მათგანი კასპის რაიონის სოფელ თვაურების მცხოვრებია, — განაცხადა სანაკოევმა.**

**შეგახსენებთ, რომ კასპის რაიონის სოფელ თვაურებში მცხოვრები 6 პირი ახალგორის რაიონში საზღვრის უკანონო დაკავების და ხეტყის უკანონო ჭრის ბრალდებით 2009 წლის 4 სექტემბერს დააკავეს. დაკავებულებიდან 2 მაისს ევროსაბჭოს კომისარმა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში თომას ჰამერბერგის ცხინვალში ვიზიტს დროს სეპარატისტებმა 3 დაკავებული გამოუშვეს.**

**შს სამინისტროს შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს უფროსის ვლადიმერ ჯულელის განცხადებით, ცხინვალის სეპარატისტულ რეჟიმთან ქართველების განთავისუფლებისთვის გაცვლა არ მომხდარა.**

**როგორც ჯულელმა განაცხადა, ამ დროისთვის ქართულ მხარეს დაკავებული არავინ არ ჰყავს, შესაბამისად, ქართველებში ვინმეს გაცვლა შეუძლებელი იქნებოდა.**

**მისივე თქმით, სეპარატისტების ტყვეობიდან განთავისუფლებულ ქართველებს გორის სამხარეო პოლიციის სამმართველოში გადაიყვანენ, დაკითხვის შემდეგ კი ისინი საკუთარ სახლებს დაუბრუნდებიან.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ვარაუდი

**საქართველოს მთავრობაში მიიჩნევენ, რომ ქვეყნის ეკონომიკა გლობალურ ფინანსურ კრიზისს წარმატებით აღწევს თავს. ამის საილუსტრაციოდ აღმასრულებელი ხელისუფლება 2010 წლის პირველი კვარტალის ეკონომიკურ შედეგებს იშველიებს. აღნიშნული პერიოდის მიმოხილვითი დოკუმენტის თანახმად, საქართველო, ყველა მაჩვენებლის მიხედვით, უკვე „დაეწია“ 2008 წლის პირველ კვარტალს, რომელიც ეკონომიკური „ბუმის“ პერიოდი იყო. რამდენად საფუძვლიანია ხელისუფლების ოპტიმიზმი და, რეალურად, ეკონომიკის რომელი სექტორები რჩება დღემდე არასახარბიელო მდგომარეობაში? ამ და სხვა კითხვებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის აღმასრულებელ დირექტორს, ეკონომიკის დოქტორ დავით ნარმანიას ესაუბრა:**



# „ქვეყანა კრიზისიდან ბოლომდე გამოსული არ არის“

**— ბატონო დავით, იზიარებთ თუ არა მთავრობის პოზიციას, რომლის თანახმადაც, საქართველოს ეკონომიკა კრიზისიდან წარმატებით გამოდის და ეკონომიკური აღმავლობის გზას ადგას?**

— ამ შეფასებაში გადამეტებულ ოპტიმიზმს ვხედავ. ამის საფუძველს ხელისუფლებას ის გარემოება აძლევს, რომ 2009 წელი ძალზე კრიზისული იყო და, შესაბამისად, ეკონომიკის დაცემით გამოირჩეოდა. 2010 წელს კი, როცა პროცესები წინა წელთან შედარებით დაიძრა, ეკონომიკის მაღალი ზრდა მივიღეთ. ამასთან, როცა 2010 წლის პირველი კვარტალის მაჩვენებელს 2009 წლის პირველივე კვარტალის მაჩვენებლებს ადარებენ, რომელიც განსაკუთრებით კრიზისული იყო, ეკონომიკის ზრდა უფრო თვალშისაცემი ხდება. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ქვეყანა კრიზისიდან გამოდის და ეკონომიკის ბევრი სექტორის მდგომარეობა დღითი დღე უმჯობესდება. ესენია: უპირველესად, საბანკო სექტორი, ავტომანქანების იმპორტისა და რეალიზაციის სფერო, სავაჭრო სექტორი და სხვა, რასაც ჯერჯერობით ვერ ვიტყვით სამშენებლო სექტორზე.

**— ანუ საქართველოში დღეისათვის არსებული ეკონომიკური მდგომარეობა როგორ შეიძლება შეფასდეს?**

— მდგომარეობა გაუმჯობესებულია, მაგრამ ქვეყანა კრიზისიდან ბოლომდე გამოსული არ არის, რადგან მისი ეკონომიკა კრიზისამდე არსებულ მაჩვენებლებს ჯერ არ დაბრუნებია.

**— მთავრობის მიმოხილვაში ნათქვამია, რომ 2010 წლის ბოლოსთვის ინფლაციის მაჩვენებელი 6 პროცენტი იქნება, მთლიანი შიდა პროდუქტი კი, შესაძლოა, 2 პროცენტით გაიზარდოს...**

— ინფლაციის მაჩვენებელი ნავთობის საერთაშორისო ფასზეა დამოკიდებული. შესაბამისი ფასი ბოლო თვეებში შემცირდა და თუ ის მნიშვნელოვნად არ გაიზრდება, 6-პროცენტიანი ინფლაციის შენარჩუნება შესაძლებელი იქნება. სხვა შემთხვევაში, ეს გაგვიჭირდება.



რაც შეეხება მთლიან შიდა პროდუქტს, იგი რამდენიმე ფაქტორზე იქნება დამოკიდებული, რომელთაგან უპირველესი მაღალი საინვესტიციო აქტივობაა. თუ მოახლოებული არჩევნები მშვიდად ჩაივლის და არეულობა არ მოჰყვება, ეკონომიკური სტაბილურობის პირობებში მაღალი საინვესტიციო აქტივობის შენარჩუნება შესაძლებელი გახდება. შესაბამისად, ეკონომიკის 2-პროცენტიანი ზრდის პროგნოზის გამართლებას უნდა ველოდოთ.

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაზე ასევე იმოქმედებს დღეს არსებული ძალიან მძიმე საგადასახადო წნეხის შემცირება. თუკი ფინანსთა სამინისტრო ამ წნეხს შეამსუბუქებს, რაც კრიზისიდან გამოსვლისას ბიზნესს ნაკლებად „დააწვება“, ეკონომიკის მდგომარეობა გაუმჯობესდება.

**— არჩევნები ეკონომიკაზე უარყოფითად ხომ არ აისახება?**

— ბუნებრივია, პოლიტიკური დაძაბულობა ეკონომიკის ზრდას ყოველთვის აფერხებს. ჩვენს ქვეყანაში არჩევნების შედეგებით უკმაყოფილება დიდია ხოლმე და დაძაბულობაც ამას მოჰყვება. მთავარია, დემოკრატიის ფუნდამენტური პრინციპები არ დაირღვეს და არჩევნების შედეგებით უკმაყოფილოთა გამოსვლებს დარბევა არ მოჰყვეს, რადგან ეს ეკონომიკაზე, განსაკუთრებით კი, საინვესტიციო აქტივობაზე დიდ გავლენას მოახდენს.

**— როგორია დღეისათვის საინვესტიციო აქტივობის მაჩვენებელი?**

— ზუსტი მონაცემი არ მაქვს, რომ 2009 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, სათანადო მაჩვენებელი ორჯერ არის გაზრდილი.

**— და ბოლოს, ექსპერტები ხშირად შენიშნავდით, რომ 2010 წელს მსოფლიოში ფინანსური კრიზისის ახალი კერები გაჩნდებოდა. ამაზე რას იტყვით?**

— ლაპარაკია ე.წ. აზიურ კრიზისზე, რამაც ჩვენს ეკონომიკაზე გარკვეულწილად იმოქმედა. თუმცა, აზიური კრიზისი არ არის ისეთი მასშტაბური, როგორც, თავის დროზე, ამერიკული იყო. ეს კი, როგორც მსოფლიოს, ისე საქართველოს ეკონომიკისათვის, რა თქმა უნდა, კარგია.

◎ ყველაფერი იცვლება, გარდა არჩევნებისა...

# მართლა მოთოვა კურდღელი ზამთარში?!

(მესამე გვერდიდან)

არჩევნებს რომ მორჩებოდნენ, — გვამცნობს მწერალი, — მიეგდებოდნენ კერიის პირას და ნაცარქექიობდნენო, და ამბობს: „ცარიელი გუდა ადვილი გასაბერავია! კაციც ასეა; რაც უფრო ცარიელი აქვს თავი და გული, უფრო მალე იბერება და თავის თავიც დიდ რამედ მოაქვს. კუდაბზიკობის ქვეყანაშიაც ეს სენი საერთოდ იყო მოდებული, ათში ცხრა იბერებოდა და სხვის თვალში რომ ბეწვს ეძებდა, თავისაში დირესაც ველარ ხედავდა. დიდი და პატარა ენად იყო გადაქცეული. ტიტინებდნენ და ლაქლაქებდნენ! ერთი მათგანი რომ იტყოდა, მაგალითად: „შარშან ზამთარში კურდღელი მოთოვაო“, მეორე დაუმოწმებდა, მართალიაო! და შიგადაშიგ შველიც გამოურიაო“, ყველა ტრაბახობდა, ყველა თავის თავზე ლაპარაკობდა, გაისმოდა განუწყვეტელი: მე, მე და მეო!“ ასე რომ, ბრმას რომ ყური დაეგდო, იფიქრებდა: აქ, სწორედ სადღაც თხის ჯოგიაო“. მართალია, თითოოროლა შეგნებული და ქვეყნისთვის გულშემატკივარი მათშიაც ერია თურმე.

— ეჰ, არა, არა! — გაიძახოდნენ ნაცარქექიები, — ბატონი ტილი და ბატონი რწყილი განუშორებლად დღედაღამ ჩვენთან არიან და მხოლოდ ამ ორ გვარს ეკუთვნის და შეშვენის ჩვენი თაყვანისცემაო! ამ ორს იქით, გზა არა გვაქვს, ან ერთი უნდა ავირჩიოთ, ან მეორე და საქმე მხოლოდ ჯოზნობაზე არის მიმდგარიო!

— სად თქვენი კანდიდატი და სად ჩვენიო! — გაიძახოდნენ ტილები, — თქვენი ერთი გიჟი ვინმეა, მოუსვენარი, ხან აქ არის, ხან იქ, ერთ ალაგას ვერ მიისწრებ, ვერ გააჩერებ! ხან აქ შეძვრება, ხან იქ, დღედაღამ მოსვენებას არ იძლევა! სადაც არ გგონია, იქ გაჩნდება, სადაც არ ელი, იქ გიკბენს და თუ შეგატყოთ, რომ დაჭერა უნდათო, ისკუპებს და ცხრა მთას გადაევლება! ჩვენი კანდიდატი კი მშვიდობიანია, დარბაისელი, დამჯდარი ხასიათი, მორიდებულ-მოკრძალებული, შორს წასვლის თავი არა აქვს! მართალია, ხანდახან ჩუმად იკბინება, ისე რომ ტანს მოგაფხანინებს, მაგრამ თუ შეგატყო აღშფოთება, შეინანებს და იქვე სადმე ნაოჭში მიიმალებაო.

— ეგ, ღირსება კი არა, წუნიაო, — უპასუხებენ რწყილაძეები. ჩვენი კანდიდატი კი მარდია, ცოცხალი, მიხტი-მოხტის, ხან იქ შეძვრება, ხან — აქ! თქვენი კი საზიზღარი რამ არის და ყოვლად საბრალო!“

ამ „რწყილობა-ტილობის“ დროს, მტერს უსარგებლია და სიცილით იგუდებოდნენ თურმე: „წამკიდებელო, წაჰკიდეო, ორივეს თავი წასწყვიტეო!“ ქვეყანაც სიგლახაკეში ჩავარდნილა; ტურა-მგლები ფრინველებს იტაცებდნენ, დათვი იძაურობას ტორავდა და ანადგურებდა, — ერთი სიტყვით, პატრონი აღარავინ ყოფილა!“

კიდევ რამდენიმე დღე და ახლაც შემოგრიალდება არჩევნები, მას აუცილებლად მოჰყვება გაყალბება, ან ეჭვები მის შესახებ, შემდეგ საქმეში „ექსცესიონერები“ ჩაერევიან, ისევ უკურნებელი სენი შეეყრება მათ, ვისაც სკამის ხელში ჩაგდების გამუდმებული მანია სჭირს!

ვერ უარვყოფთ, ხალხი ბრძენია! თქვენი არ ვიცი და, მე და ჩემნაირები, ბევრჯერ მოტყუებულ-გაცუცურაკებულნი, დღესაც დოყლაპიებივით ვუსმენთ და მივჩერებივართ ჩვენსა და ჩვენი ქვეყნის „გადამრჩენებს!“

„საშველი თუ მაინც დაგვადგება როდესმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს?!“ ისე კი, როგორც ეკლესიასტე იტყოდა: „თაობა მიდის, თაობა მოდის, საწუთრო კი უცვლელი რჩება“.

**სოზარ კუპატაძე,**
**იმერეთი**

◎ შეფასება



***ბოლო დროს უცხოეთში პრეზიდენტ სააკაშვილის გახშირებულ ვიზიტებს არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. განსაკუთრებით კრიტიკულია პოლიტიკური ოპოზიცია, რომელიც პრეზიდენტს ქვეყანაში არსებული პრობლემებისადმი გულგრილობასა და სახელმწიფო ბიუჯეტის ვიზიტებში ფლანგვაში ადანაშაულებს.***

***ბოლო ერთი თვის განმავლობაში აშშ-ში სამკვირიანი ვიზიტის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა საქართველოში სულ სამი დღე დაჰყო და მორიგი ვიზიტით ჯერ რომში, შემდეგ კი ლათინურ ამერიკაში, კერძოდ კოსტა-რიკაში გაემგზავრა.***

***ამ ვიზიტების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ პოლიტოლოგ მალხაზ მაცაბერიძეს ესაუბრა.***

# „სააკაშვილის ოფიციალური ვიზიტების შემცირების მიზეზი რუსეთია“

— ლათინურ ამერიკაში ვიზიტების აუცილებლობა იყო! თუ მივაქცევთ ყურადღებას იმას, რომ რუსეთი საქართველოს კონფლიქტური რეგიონების აღიარებას სწორედ ლათინური ამერიკის ქვეყნების მეშვეობით ცდილობს, ეს ვიზიტი შეიძლება გავიაზროთ, როგორც რუსეთის ამ მცდელობების გარკვეულწილად შეჩერებისკენ გადადგმული პრევენციული ნაბიჯი.

თუ საქართველო გაამყარებს და განამტკიცებს ურთიერთობებს ლათინური ამერიკის ქვეყნებთან, იქნება გარკვეული ბარიერი რუსეთის ამგვარი მცდელობების წინააღმდეგ. საქართველოს ამ საქმეში აშშ-ც უწევს დახმარებას. ამ ურთიერთობებს კი, ქვეყნის პირველი პირი უფრო ეფექტიანადააწყობს.

**— როგორც ოპოზიცია აცხადებს, ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტს ოფიციალური მიწვევა არც ერთი სერიოზული ქვეყნიდან არ მიუღია. თქვენი აზრით, რატომ არ სურთ დასავლურ ქვეყნებს მიხეილ სააკაშვილის მიწვევა?**

— ბევრი ფაქტორი არსებობს. მე ეს არ დამითვლია, თუმცა ოფიციალური ვიზიტების რაოდენობა შეიძლება მართლაც შემცირდა. ანგარიშგასაწევია 2008 წლის აგვისტოს შემდეგ რუსეთის დიპლომატიური და საინფორმაციო ომი.

**— ანუ ეს ქვეყნები რუსეთს უწევენ ანგარიშს?**

— რასაკვირველია. საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის პოზიციას ეს ქვეყნები ანგარიშს უწევენ. აქედან გამომდინარე, ამანაც შეიძლება შეამცირა ოფიციალური ვიზიტების რაოდენობა.

ამასთან, რუსეთის პროპაგანდის შედეგად საქართველო აღარ წარმოჩინდება ძალიან წარმატებული ქვეყნის რანგში, როგორც ეს რევოლუციის შემდეგ იყო.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში, დსთ-ს ფარგლებში რუსეთი მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს. ეს წარმატებები მარტო რუსეთის აქტივობითაც არ აიხსნება. ეს არის იმის შედეგიც, რომ დასავლეთმა აქტივობა შეამცირა დსთ-ს ქვეყნებთან მიმართებაში.

**— ასეთი ხანგრძლივი ვიზიტები რამე შედეგს გამოიღებს?**

— ლათინურ ამერიკასთან მიმართებაში უკვე გითხარით, რა მიზნებიც ჰქონდა. რაც შეეხება აშშ-ში ხანგრძლივ ვიზიტს, ეს იმით აიხსნება, რომ აშშ საქართველოს ერთადერთი სტრატეგიული პარტნიორია და სწორედ ამერიკა გვეხმარება როგორც ლათინური ამერიკასთან ურთიერთობების გამყარებაში, ისე რუსეთისგან თავის დაცვაში. მიხეილ სააკაშვილის აშშ-ში ვიზიტის შესახებ შედარებით მწირი ინფორმაცია იყო ჩვენს მედიაში, მაგრამ თუ ეს ხანგრძლივი ვიზიტი ემსახურებოდა აშშ მხარდაჭერის გაძლიერებას საქართველოსადმი, ეს ძალზედ მნიშვნელოვანია.

გლობუსი

# ორთა შორის გაჩხერილი საქართველო



**ორი წლის წინათ ქართველი ექსპერტები დაბეჯითებით არწმუნებდნენ საზოგადოებას, რომ დემოკრატების გამარჯვებით და ბარაკ ობამას გაპრეზიდენტებით, საქართველოსთან მიმართებაში არაფერი შეიცვლებოდა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ თეთრი სახლის ბინადრის ცვლა სულაც არ ნიშნავს შემუშავებული პოლიტიკური კურსის ცვლას, აშშ-ი საქართველოს პოლიტიკური პარტნიორია და ასედაც დარჩება აწ და მარადის.**

გარეგნულად ხელისუფლებაც ოპტიმიზმით იყო აღსავსე, თუმცა გამუდმებული მტკიცება იმისა, რომ სააკაშვილს ახალ ადმინისტრაციაში მრავალი მხარდამჭერი ჰყავს, საწინააღმდეგოზე მიანიშნებდა. ის, რომ აშშ-ს პოლიტიკური კურსი სერიოზულ ცვლილებებს დაექვემდებარებოდა, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ქართული პოლიტიკა-პოლიტოლოგიისთვის, საკუთარი უმეცრებიდან გამომდინარე, სწორედაც ძნელი წარმოსადგენი გამოდგა. პოლიტიკის შეცვლა ჰაერივით ესაჭიროებოდა ბუშის ადმინისტრაციის მიერ შექმნილ ატმოსფეროს, გარდა ამისა, ობამას წინასაარჩევნო კამპანიიდან გამომდინარე ნათელი იყო, რომ გარდაქმნები გარდაუვალი იქნებოდა. და რაც მთავარია – ადმინისტრაციის ცვლა თავისთავად მეტყველებს ცვლაზე და არა ძველის გაგრძელებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში რა აზრი აქვს არჩევნებს? სააკაშვილის კარის პოლიტოლოგიამ ვერც ის გათვალა რა ძვრებს შეიძლება ჰქონოდა ადგილი მსოფლიოში ან რამდენად მისაღები შეიძლება ყოფილიყო ხანშიშესული მაკკეინის მოძველებული მოსაზრებები. ქართული პოლიტელიტა ბოლომდე სააკაშვილის მეგობარის მაკკეინის მხარდამჭერად დარჩა. მან ისიც ვერ გათვალა, რომ სააკაშვილს და სააკაშვილებს ვაშინგტონში ისე არ გაუღიმებდნენ, როგორც ბუშის დროს. ფაქტი სახეზეა – სააკაშვილის ერთთვიანი ამერიკული ვოიაჟი და არა ვიზიტი, ამის დამადასტურებელია. **საქართველოს მოსახლეობისათვის, გარდა პოლიტოლოგებისა, იმთავითვე იყო ცნობილი, რომ სააკაშვილის ხანგრძლივი ამერიკული ტურნე არაფრის მომტანი იქნებოდა. საზოგადოებას ერთი სურვილი ჰქონდა – იქ პრეზიდენტის ხანგრძლივი ყოფნა მარადისობაში გადაზრდილიყო, უფრო მეტიც – მზად იყო დაობლებისთვის, მაგრამ უნებლიედ გაჩენილ იმედის ნაპერწკალს 25-ე დღეზე სააკაშვილის საქართველოში გამოჩენამ გადაასხა წყალი.**

**ქართული საზოგადოება შორსაა ყირგიზეთიდან. ის მშვენივრად იტანს სააკაშვილსა და სააკაშვილებს. მზადაა მეტიც აიტანოს, რას მიქვია რევოლუცია, სახალხო აჯანყება. ჩვენ ცივილიზებულები ვართ და არ შეგვეფერება ის, რასაც საფრანგეთში, საბერძნეთში, ტაილანდში, სხვაგან აქვს ადგილი. ჩვენ ის ხალხი ვართ, ვისაც თავდავიწყებით უყვარს რუსთაველზე გასეირნება, პარლამენტთან თავშეყრა, ერთსაათიანი ჭუკჭუკი, ენისა და გულის ფხანა, შემდეგ კი შინისაკენ ჰერი, ჰერი. ყირგიზეთმა ვერ აიტანა ბაკიევისა და ბაკიევების ხელმრუდობა, არადა ბაკიევობა მონაგონია სააკაშვილობასთან. საქართველოს არათუ სააკაშვილი ვერ მოუშორებია თავიდან, გიგი თევზაძესაც ძვრას ვერ უშვება, მერაბიშვილზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. 1978 წელს ქართულმა საზოგადოებამ ტანზე შემოიხია – მშობლიურ ენას გვართმევენო, დღეს არაფერს ამბობს თევზაძეზე, სახელმწიფო ენად ინგლისური რომ დააწესა.** საზოგადოება უფრო „სერიოზული“ საქმითაა დაკავებული – ადგილობრივი არჩევნებით. მეტი რა დარჩენია, სხვა ხომ ყველაფერი რიგზეა. გასულ წელს სააკაშვილის „დათმობას“ ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით დიდის ენთუზიაზმით შეხვდა პოლიტელიტა, თითქოს მას მნიშვნელობა ჰქონდეს ქვეყანაში არსებული ვითარების შეცვლაში. და არის 24-საათიანი ჟივილ-ხივილი ელექტრონულ და ბეჭდვით მედიაში, არის უხვი დაპირებები და პურის ცხობა, მინების წმენდა და საყოველთაო დასაქმებასთან დაკავშირებული გულზე მჯიღის ბრაგუნი. გასაკეთებელი ბევრიაო, ამბობენ ნაციონალები და თუ ოდნავი დაფიქრებით მოვისმენთ რის გაკეთებასაც გვპირდებიან, გამოდის არაფერი გაკეთებულა. რა გაეწყობა, დათვი რომ მოგერევა, ბაბაია უთხარიო, ნათქვამია, ოღონდ ერთია, ასეთი დათვები სხვაგანაც არიან, თუმცა მორევაზე რა მოგახსენოთ. რახან სხვისი მაგალითების გამეორებას ვერიდებით, ისღა დაგვრჩენია მოთმინებით დაველოდოთ არა მარტო მოახლოებულ ადგილობრივ არჩევნებს, არამედ 2013 წლისას. ისევე, როგორც ყოველთვის, ხელისუფლების შემოთავაზებამ ამჟამადაც გაჭრა. მან ისეთი სპექტაკლი დადგა, უკეთესს რომ ვერ ინატრებს სეირის მოყვარული საზოგადოება. დიდი თუ პატარა, ახლადშექმნილი თუ სტაჟიანი პარტიები თავით გადაეშვნენ ჭაობში, რომელიც 20 წელია ითრევს საზოგადოებას, ყოველგვარი შედეგის, მით უმეტეს პროგრესის გარეშე. გარეთ კი მიილია 21-ე საუკუნის პირველი დეკადა. ერთ დროს, დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე მეოცნებე ქართველობა ვერაფრით წარმოიდგენდა, სიტყვა დამოუკიდებლობა რომ იზოლაციის სინონიმი გახდებოდა. განვლილმა 20 წელმა და ხელისუფალთა დანაშაულებრივმა ქმედებამ ეს მოახერხა. ხელისუფლებამ ისიც მოახერხა, ინფორმაციის გარეშე დაეტოვებინა ხალხი და ერთ დროს განათლებული საზოგადოება თარგამაძის, თორთლაძის, სააკაშვილის, გრიგოლიას, ქარდავას, სხვა გონებაშეზღუდულთა აზროვნების დონეზე დაეყვანა. და რახან ასე ძნელია მას (საზოგადოებასძ მოსთხოვო მძაფრი რეაქცია სატელევიზიო იმიტაციაზე, თევზაძის „ნოვაციებზე“, შაშკინის სისულელეებზე, მერაბიშვილის მზაკვრობაზე და სხვა. ვერ ხედავთ, ხალხო, რა დღეში ხართ, მერაბიშვილი გმართავთო – ხშირად გაიძახის „ღრმადაპატივცემული“ ზოგიერთი ოპოზიციონერი, გუშინდელი მაღალჩინოსანი. თითქოს მარტო მერაბიშვილსა და არა მათ მიუძღვით ბრალი ქვეყნის დაქცევაში. არაერთხელ თქმულა და მეც გავიმეორებ – დღევანდელ ოპოზიციონერთა ლომის წილია იმაში, რაც ქვეყანას ჭირს.

ქვეყნის დაქცევაში ნაკლები წვლილი არც პოლიტოლოგიას შეუტანია. მაამებლურ ტალღაზე მომართულნი მხოლოდ იმის ფიქრში იყვნენ და არიან, რით ასიამოვნონ სააკაშვილს და სააკაშვილებს. საკუთარი კუჭის თემა, მოჭარბებული ბიწიერება, ამ ბანაკში განსაკუთრებით თვალშისაცემია. არავითარი რეკომენდაცია, არც ერთი კრიტიკული სიტყვა. მხოლოდ ხოტბა, ხელისუფალთა მიწოდებული იდეის გაფეტიშება, ტყუილის სიმართლედ მონათვლა. სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება უკრაინის ამბების დამახინჯება. თითქოს იქ დღეს თუ არა ხვალ, ახალი რევოლუცია იფეთქებს. ქართული პოლიტელიტა გულდაწყვეტილია უკრაინაში მომხდარი ამბებით, იმით, რომ უკრაინელმა ხალხმა თავი დაანება აბსტრაქტულ აზროვნებას, განსაკუთრებით ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით და პრაქტიკულს, ანუ რუსეთთან ურთიერთობას მიჰყო ხელი. უკრაინელმა პოლიტიკოსებმა დაინახეს, რომ ნატოს გზა შორია და რუსეთთან სერიოზული დაპირისპირების მომტანი. ქართული პოლიტელიტა ჯიქურ ნატოსკენ იყურება. იქითკენ აქვს მზერა მიპყრობილი ე. წ. ექსპერტებსაც, არადა გარკვევით ითქვა იქედან – საქართველო კარგა ხანს ნატოში ვერ შევაო. არ მიკვირს პოლიტიკოსთა დაჩემებისა, მათ ასე უნდა თქვან, მიკვირს პოლიტოლოგების, რომლებიც დღესაც ნატოს გაიძახიან, რაც თავისთავად მეტყველებს საერთაშორისო საკითხების არცოდნას. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოსვე იყო ცნობილი, რომ საქართველო ვერასდროს შეასრულებდა იმ მოთხოვნებს, რასაც ნატო აყენებდა. შეუსრულებლობა თავისთავად გვიკეტავდა ნატოში შესასვლელ კარს. **გულუბრყვილო ქართველობას სჯეროდა ნატოს რიგითი მოხელის ლამაზი სიტყვებისა. გახარებული ექსპერტობა კი სიხარულს საზოგადოებას უზიარებდა. 6 წლის წინათ რადიოთი ვისმენდი გადაცემას ნატოში გაწევრების თაობაზე. ბრიუსელიდან დაბრუნებული ტუღუში, გაზეთ „რეზონანსის“ შეფი, ისეთი პათოსით ყვებოდა ნატოსა და იქ საქართველოს გამოჩენაზე, თითქოს ეს ამბავი მეორე დღეს უნდა მომხდარიყო – ნატოს ჩინოსანმა მითხრა, თქვენთვის დიდ სიურპრიზს ვამზადებთო და მალე შეიტყობთ ყველაფერსო. სიურპრიზი ნატოს წევრობა იყო. დარწმუნებული ვარ, მას სჯეროდა სასწაულის. სხვა, საქმეში ჩახედული ექსპერტი, თუ ასეთი მოიპოვება, არ დაიჯერებდა, ვინაიდან მსგავსი სასწაულები უბრალოდ არ ხდება.**

ნატომ ჩაილურის წყალი დალია, მაგრამ საქართველოში ამის გამგები ცოტაა. უმრავლესობა დარწმუნებულია ხელისუფლების მიერ მოწოდებულ სატყუარაში. საზოგადოება დარწმუნებულია იმაშიც, რომ ამერიკელებს უყვართ საქართველო, რომ ამერიკა ჩვენს თავს არ დააჩაგვრინებს ოკუპანტ რუსეთს. ამერიკას უყვარს საქართველო, ოღონდ ქართველების გარეშე. როგორც იქნა ზოგიერთმა პარტიამ შეიგნო ეს მარტივი ჭეშმარიტება და პირი ისევ რუსეთისკენ მიაბრუნა, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ისტორიულად ჩვენ ის ერი ვართ, სხვასთან ჩახუტების გარეშე ცხოვრება რომ არ შეგვიძლია. საზოგადოება ძნელად, მაგრამ მაინც რწმუნდება, რომ ჩრდილოელთან ურთიერთობა უფრო წაადგებოდა. თუ ტერიტორიების დაბრუნება გვსურს, რუსეთს უნდა დაველაპარაკოთო – ამბობენ განსხვავებულად მოაზროვნე პარტიები. **ჩემი აზრით, რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაზე ლაპარაკი ყოველგვარი ულტიმატუმებისა და აბსტრაქტული „დაბრუნების“ გარეშე უნდა წარიმართოს, ვინაიდან დიალოგის დასაწყისშივე განაწყობს რუსს საწინააღმდეგოდ. აბსტრაქტულად მიმაჩნია დღეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაზე ლაპარაკი. დამოუკიდებლების დაბრუნება ურთულესი საქმეა, შესაძლოა შეუძლებელიც, ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე. ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც აფხაზი და ოსი მოიხიბლება საქართველოს დემოკრატიულობით, ეკონომიკით, სოციალური ყოფით, სხვა ერებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, თუმცა მაშინაც გაჭირდება დამოუკიდებლობის დამოკიდებულებაზე გაცვლა. მძიმეა თუ არა ამის გაგება, ერმა უნდა გაიგოს. ერმა სერიოზულად უნდა გაათვითცნობიეროს, რა დანაშაულებრივ ქმედებას ჰქონდა ადგილი 1992-2008 წლების აგვისტოში და გუნდრუკი კი არ უნდა უკმოს ყოფილ თუ დღევანდელ ხელისუფალთ, არამედ შესაფერისი ადგილი მიუჩინოს, ისე, როგორც ამას აკეთებენ უცხოეთში. ერი, რომელიც დამნაშავე ხელისუფალთ გამარჯვებულივით მოიხსენიებს, ვერასდროს შეძლებს წელში გამართვას. ვერავითარ წარმატებას ვერ მოიტანს გამუდმებული პოლიტიკური ქადილი დაკარგულის დაბრუნების თაობაზე. ეს უნდა შეიგნონ როგორც შინ, ისე გარეთ მყოფმა ქართველობამ, ქართულმა დიასპორებმა, უპირველეს ყოვლისა პეტერბურგულმა და მისმა ლიდერმა ებრალიძემ. მისი ბოლო განცხადება გაპრეზიდენტებასთან დაკავშირებით უფრო რეალურია, ვიდრე გუშინდელი, თუ ამას იმასაც დაუმატებს, რომ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების გასაღები ჯიბეში არ უდევს, უკეთესი იქნებოდა. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ნივთი არ არის, რომლის დაბრუნება-არდაბრუნებაზე ასე ხელაღებით და პრიმიტიულად ლაპარაკობდნენ. იქ მაცხოვრებელმა ხალხმა უნდა გადაწყვიტოს საკუთარი მომავალი.**

დავუბრუნდეთ ორი დიდი სახელმწიფოს თავსატკივარს, ვინაიდან სააკაშვილის წყალობით ისეთ ჩიხში გავეჩხირეთ, ორთა მოლაპარაკების და მათი პრობლემების გაუთვალისწინებლად ჩვენი საკითხები არ მოგვარდება. უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლებამ უნდა დაადგინოს – რამდენად პრიორიტეტულია ვაშინგტონისათვის საქართველო. დსთ-ს სივრცეში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ ამერიკის ადმინისტრაციას ნაკლებად სცხელა ამ რეგიონისადმი და თუ რაიმე ქმედებას აქვს ადგილი მისი მხრიდან, ინერციული მოძრაობაა. ვაშინგტონს აწუხებს ტერორიზმი, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა, ირანი, ერაყი, პაკისტანი, ავღანეთი, ეკონომიკა. საქართველო მესამეხარისხოვანია. რაც შეეხება რუსეთს, მასაც აწუხებს ტერორიზმი, ავღანეთი, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შექმნა, დსთ-ს ქვეყნებში მისდამი ლოიალური ურთიერთობის ჩამოყალიბება, ქვეყნის დასავლური ტექნოლოგიებით აღჭურვა, ქვეყნის მოდერნიზაცია. **ამ საკითხებიდან მისი ყურადღების გადატანა პროვოკაციული გამოხდომით კრემლის კატეგორიულ პასუხს გამოიწვევს. ეს კარგად უნდა ესმოდეს ქართულ პოლიტიკას, მაგრამ არ ესმის, ვინაიდან, რომ ესმოდეს, უნდა იცოდე, რომ იცოდეს, უნდა ისწავლოს. ჩვენდა სამწუხაროდ, სწავლის სურვილი ამ ხელისუფლებას არ ჰქონია და არც ექნება.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი

„დასავლეთმა მიგვატოვა“

# რატომ მალავს ლუკაშენკო ბაკიევს?

ამ დღეებში ა. ლუკაშენკომ როიტერისთვის მიცემულ ინტერვიუში „ყველას თავისი მიუზღო“. რუსეთის ხელმძღვანელობის ჩვეულებრივი ლანძღვის გარდა „ცალმხრივი პრაგმატიზმის გამო“, ბელარუსის პრეზიდენტს არც დასავლეთი დავიწყებია. მინსკში მისგან ასევე „უფრო მეტს“ ელოდებოდნენ – უარს სავიზო სანქციებისგან ბელარუსი ჩინოვნიკების წინააღმდეგ, უფრო აქტიური ვაჭრობის გამო. ერთი სიტყვით – „დასავლეთმა მიგვატოვა“. თავად ა.ლუკაშენკო, როგორც ჩანს, მზად არის გასწიროს ბელარუსის კიდევ ერთი პარტნიორი დსთ-ში – ყირგიზეთი. 6 მაისს ბიშკეკმა მინსკს გაუგზავნა მოთხოვნა იქ მიმალული ექსპრეზიდენტის ბაკიევის გადაცემის შესახებ, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულებში. მაგრამ ლუკაშენკომ გააფრთხილა, რომ ლტოლვილს არ გადასცემს. „ბაკიევი და ლუკაშენკო ავტორიტარული პრეზიდენტების ერთი კოჰორტიდან არიან, – ამბობს პოლიტოლოგი ანდრეი სუზდალცევი. – ბაკიევის გადაცემაზე უარის თქმით, ბელარუსის ლიდერმა სიგნალი მისცა თავის მოწინააღმდეგეებს ქვეყანაში და უცხოეთში: მასაც ვერ „ჩამოაგდებენ“, ყოველი შემთხვევისთვის იგიც გასცემს სროლის ბრძანებას და ივლის ბოლომდე“. ექსპერტების აზრით, კონფლიქტმა ბაკიევთან დაკავშირებით შეიძლება გაართულოს ატმოსფეროც დსთ-ს შიგნით. სხვათა შორის, თანამეგობრობას ამგვარი წინააღმდეგობანი არ უკვირს.



АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## სიმართლე კი ასეთია!

# ტრანსში გრანტების მოყვარულები,

## ანუ „თავისუფლების ინსტიტუტის“ და ტელეკომპანია „კავკასიის“ ერთობლივი სპეცოპერაცია კოდური სახელით „ბარიერი!“

***გნებავთ, პროვოკაცია მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგ. ალბათ, ერთიც უპრიანია და მეორეც. თუმცა მთავარი ის კი არ არის, რას დავარქმევთ 7 მაისის „ბარიერს“, რომელსაც ქართული მედიის „დედოფალი“ ნინო ჯანგირაშვილი უძღვებოდა, არამედ ის, რომ ათობით პოლიტპატიმრის რიგებს, რომელთა არსებობას თვით ნაცების მიმართ კეთილგანწყობილი დასავლეთიც აღიარებს, იმ „ბარიერის“ შემდეგ, საქართველოში რწმენის, გნებავთ, მართლმადიდებლური მრწამსის გამო პირველი დაპატიმრებულებიც გაჩნდნენ, რომელთაგან ერთ-ერთის მამა ინფარქტით გარდაიცვალა!***

ყველაფერი კი ღვთის პირიდან გადავარდნილი „მწერლის“ ერეკლე (ეკო) დეისაძის წიგნით, „საიდუმლო სირობით“, უფრო სწორედ, ამ „წიგნის“ ილიას უნივერსიტეტში პრეზენტაციით დაიწყო. ამ ფაქტმა აღაშფოთა ხსენებული უნივერსიტეტის (მას უკვე გიგის დუქანსაც ეძახიან) სტუდენტთა უმრავლესობა. საქმე ფიზიკურ შეხლა-შემოხლამდეც მივიდა სტუდენტთა ორ ნაწილს შორის, რომელთაგან ერთს, ანუ უმრავლესობას, პირობითად შეიძლება მართლმადიდებელი, ბუნებრივი სექსუალური ორიენტაციის ჯგუფი ვუწოდოთ, მეორეს, უმცირესობას კი, უკეთეს შემთხვევაში, ათეისტები, ხოლო უარესში, სექტანტი ხლისტები და არატრადიციული სექსორიენტაციის, პედერასტების ჯგუფი, ან კიდევ უფრო უარესი, ამ უზნეობა-გარყვნილებისთვის ე. წ. ლიბერალობის სამრეკლოდან ლოიალურად მაყურებელთა ჯგუფი ვუწოდოთ.

ამ ყველაფრის უკან რომ „თავისუფლების ინსტიტუტი“ მოიაზრება, ეს, როგორც იტყვიან, ბავშვმაც კი იცის ჩვენში. ჰოდა, მალხაზ გულაშვილის ინიციატივით სულ ახლახან დაარსებულმა „სახალხო მართლმადიდებელმა მოძრაობამ“ 7 მაისს ჭადრაკის სასახლეში არა მხოლოდ ამ მოძრაობის წევრებს, არამედ, ფართო საზოგადოებასაც უხმო. ამ შეკრების მიზეზი ზემოთ ხსენებული „წიგნის“ დაგმობა და ამ ნიადაგზე ახალგაზრდობას შორის დაპირისპირების შეჩერება იყო. ხოლო მთავარი მიზანი – „თავისუფლების ინსტიტუტის“, როგორც კონკრეტულად ამაში და ზოგადად ყოველივე ანტიეროვნულში, ანტიმართლმადიდებლურ ქმედებებში მხილებული, მასონ-გლობალისტთა მიერ დაფინანსებული ორგანიზაციის – საქართველოში მოღვაწეობის აკრძალვის მოთხოვნა იყო, რასაც შესანატრი ერთსულოვნებით დაუჭირა მხარი ჭადრაკის სასახლის გადავსებულმა დარბაზმა.

ამ ორგანიზაციის აკრძალვაზე არაერთხელ უმსჯელიათ სხვადასხვა პარტიებსა თუ ორგანიზაციებს. აქციებიც მოუწყვიათ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ოფისთან, მაგრამ ისეთი მასშტაბური შეკრების მოწყობა, როგორიც იმდღევანდელი იყო, მანამდე ვერავინ შეძლო! თანაც ეს აქცია ყოველგვარი განსაკუთრებული მობილიზაციის, ძალისხმევის გარეშე შედგა. იქამდეც კი, რომ ხალხის ამ რაოდენობას „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ ყველაზე ოპტიმისტი წევრებიც არ ელოდნენ. კულუარებში მაშინვე დაიწყო საუბარი, რომ სათანადო მზადების, ორგანიზების შემთხვევაში, მსგავსი მოთხოვნით სტადიონიც უპრობლემოდ გაივსებოდა.

ანუ იმის შეგნება, რომ „სმმ“ შესაძლებელი იყო ისეთ ძალად გადაქცეულიყო, როგორიც არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ დაესიზმრება, ძალიან შეაშფოთა „თავისუფლების ინსტიტუტი“, ანუ იგივე ხელისუფლება და მოხდა ის, რაც მოხდა – დაიგეგმა „თავისუფლების ინსტიტუტის“ და ტელეკომპანია „კავკასიის“ ერთობლივი სპეცოპერაცია. გნებავთ, ტერორისტული აქტი!

იმ საბედისწერო, ავადსახსენებელ „ბარიერს“ წინ უძღვოდა ანონსი, რომ ჭადრაკის სასახლეში შეკრებილი აქციის ორგანიზატორ „სახალხო მართლმადიდებლურ მოძრაობას“ საზოგადეობის ნაწილი ფაშისტებს უწოდებს. იმაზე კი არც ერთი სიტყვა არ თქმულა, რომ ეს ე. წ. „ნაწილი“, ძირითადად მცირერიცხოვანი ხლისტები და პედერასტები, ან მათი მხარდამჭერი „ლიბერალები“ არიან.

„ბარიერიც“ ამ პათოსით დაიწყო. ნინო ჯანგირაშვილმა ინტერაქტივში გამოიტანა კითხვა, რომლის შინაარსიც დაახლოებით ასე ჟღერდა: **მიგაჩნიათ თუ არა გამართლებულად მართლმადიდებლობის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება?**



ეს, ყოველივე, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ, დამეთანხმებით, თავისთავად პროვოკაცია იყო!

ამას მოჰყვა ის, რომ „ლიბერასტმა“ ბექა მინდიაშვილმა ჭადრაკის სასახლეში შეკრებას ფაშისტური უწოდა და „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ სახით ახალი ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა მიულოცა სტუდიას. ამან, ბუნებრივია, მალხაზ გულაშვილის, ნანა დევდარიანის და ლევან ჩაჩუას თანმხლები ახალგაზრდების აღშფოთება გამოიწვია, რის გამოც თავიდანვე აშკარად ანგაჟირებული და ტენდენციური ნინო ჯანგირაშვილი ახალგაზრდა მართლმადიდებლებს სტუდიიდან გაძევებით დაემუქრა.

ერთი სიტყვით, სიტუაცია დაიძაბა და „აფეთქება“ გარდუვალი ჩანდა. ეს, უბრალოდ, დროის ამბავი გახლდათ. ეს დრო კი მაშინ დადგა, როცა ბექა მინდიაშვილმა ჯერ თავის გვერდით მჯდომი „ლიბერასტი“ ქალი, რომელიც პროტესტის ნიშნად წამოდგა, ადგილზე დასვა (ეს მომენტი მეორე დღეს, ჩანაწერის ყურებისას „დავიჭირე“) – ჯერ ადრეაო, რამდენიმე წუთის შემდეგ (ალბათ ჯანგირაშვილისგან მიიღო „მაიაკი“) კი თავად წამოხტა, ახლა არის დროო, და სერგო რატიანთან (გიგი თევზაძის დუქნის ადმინისტრაციის უფროსი) და იმ „ლიბერასტ“ დედაკაცთან ერთად დემარშით დატოვა სტუდია.

ამის შემდეგ ნინო ჯანგირაშვილმა რეკლამა გამოაცხადა, რაც იმდენად დიდხანს გაგრძელდა, რომ ცხადი იყო, იქ რაღაც ხდებოდა.

რეკლამის შემდეგ ვიხილეთ უმართავი სიტუაცია. იყო გაწევ-გამოწევა, გინება, უცხო ხალხი სტუდიაში, მთვრალი აქუბარდია, რომელიც ვითომდა სახლიდან მოვარდა, სინამდვილეში კი, თვითმხილველის მტკიცებით, გვერდით ოთახში სვამდაო.

ეჰ, ჩემო მკითხველო! რას ვიღლები წერით და თქვენც რად დაგღალეთ კითხვით, არა? ეს კადრები ხომ ათასგზის ატრიალეს, თუმცა სხვადასხვა მინიშნებებით, სხვადასხვა ტელევიზიებმა და ალბათ ნანახიც გაქვთ, მაგრამ თუ რისთვის ვირჯებით, თან ლამის წუთობრივი ქრონომეტრაჟით, ამაზე ქვემოთ, ანუ...

### ჯანგირაშვილის ხნული ელისაშვილმა ფარცხა?

ანუ, ყოველივე ზემოთ თქმულს თამამად შეიძლება ვუწოდოთ გეიაღლუმი, ან პედერასტებისა და ხლისტების პარადი „კავკასიაზე“, ან, უფრო მოდურად და „იმედიანად“, – პედერასტების მცირემასშტაბური მოდელირებული პარადის ქრონიკა, რომელსაც პრაქტიკული შედეგები მოჰყვა: 7 პატიმარი, ერთ-ერთი მათგანის გარდაცვლილი მამა, შვილთან ერთად ცხინვალში „გაქცეული“ და შესაბამისად, მოღალატედ შერაცხული მალხაზ გულაშვილი, მართლმადიდებლობის დისკრედიტაციის მცდელობა, ამ ყველაფრის გამო „კავკასიის“ დისკრედიტაცია და მისი პატრონების გაბანძება. ყოველ შემთხვევაში, იმ ღამეს და მას შემდეგაც „კავკასიაში“ პოლიტიკოსების მისვლა სოლიდარობას კი არა, სოლიტერობას უფრო ჰგავს. ყოველ შემთხვევაში, ჩემ გარშემო კაცი ვერ ვნახე, ვინც „კავკასიაში“ მომხდარს, ასე თუ ისე, ამ ტელეკომპანიას და „თავისუფლების ინსტიტუტს“ არ აბრალებდეს.

სწორედ ამ ყველაფრის ჩაფარცხვას ისახავდა მიზნად მორიგი, ამჯერად ალეკო ელისაშვილის „ბარიერი“, რომელიც აგვისტოს ომის „გმირმა“ ტყუილით დაიწყო! – **„სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობიდან“ დამიკავშირდნენ და კატეგორიულად მომთხოვეს „ბარიერში“ მონაწილეობა, რაზედაც კატეგორიული უარი ვუთხარიო(?!)**

ისემც რა ვუთხარი! ჯერ ერთი, თუ ვინმე დაუკავშირდა ამ შეფარულ ხლისტს, რომელსაც, თანამოაზრეთა მსგავსად, გრანტები უყვარს ტრანსში, იმათ სახელები და გვარები აქვთ. ისინი ბაია ამაშუკელი და თქვენი მონამორჩილი დათო მხეიძე არიან! მე დავუკავშირდი, ანუ დავუმესიჯე, როდესაც, ჯერ კიდევ ტკბილად ეძინა „რუსი ოკუპანტების რისხვას“. ზუსტად როდის? მობილურზე ვნახოთ: 11 მაისი, 10 საათი და 06 წუთი. აი ტექსტიც: **„დღევანდელ „ბარიერთან“ დაკავშირებით მინდა რაღაც გითხრათ, დათო ვარ მხეიძე“.** მართლაც კატეგორიული მოთხოვნაა, არა? პასუხი არ მიმიღია.

რაც შეეხება ბაიას, მან მოგვიანებით მართლაც დაურეკა და უთხრა, რომ ჩემთან ერთად სურდა სტუდიაში მისვლა, რაზედაც ამ ვაჟკაცს „კატეგორიულად“ უთქვამს, ვნახოთო, რაც, ალბათ, იმას ნიშნავდა – მე აქ ვისი ტიკი-ტომარა ვარ, ვინ რას მეკითხება, ნინო დედას დავეკითხებიო.

შემდეგ ბაიამ მითხრა, შენც დარეკე და უთხარიო. ორივემ ვრეკეთ, მაგრამ „კატეგორიულად“ არავინ გვიპასუხა, რის გამოც, მოგვიანებით მე და ბაია „კავკასიაში“ მივედით, სადაც მართლაც ხაზგასმული უპატივცემულობა-უზრდელობით, ქალისთვის შეუფერებელ პოზაში მჯდომი დაგვხდა ნინო ჯანგირაშვილი და უარი გვითხრა – **აბა რა გეგონათ, ფერებას დაგიწყებდით მას შემდეგ, რასაც ჩვენზე ამბობენ ლელიკო ჯაფარიძე თუ ელიზბარ ჯაველიძე, ცხინვალიდან მალხაზ გულაშვილიო?!**

ბაიამ – აბა რა გეგონა, ფაშისტებად რომ მოგვიხსენიე და პირადად ჩემი გვარიც ახსენეს, ის მაინც გეთქვა, საზოგადოების ის ნაწილი, ვინც ფაშისტებს გვეძახის, პედერასტები რომ არიანო.

**ზუსტად მაგიტომ არ შეგიშვებ ეთერში, რომ ასე იტყვი და კვლავ მომივარდებიან მართლმადიდებელი მშობლებიო, დაამთავრა „ბაზარი“ „კავკასიის“ „დედოფალმა“.**

ამ ყველაფრის შემყურე და მსმენელი, ძალიან კი მიჭირდა, მაგრამ თავს მაინც ვიკავებდი, რადგან ეჭვი მქონდა, ეს პროვოკატორი ქალი ისეთს მკადრებდა, რასაც ქალსაც ვერ ვაპატიებდი და მერე გენახათ „პატრული-პატრულის“ ძახილი.

კიდევ კარგი, რომ მაგის „გავძეხი“ ქმარი არსად ჩანდა, თორემ რაც სხვებმა დააკლეს, მე ავუსრულებდი აქუ**ბანძიას**, რასაც უთუოდ ჩემი „ჩაშვება“ მოჰყვებოდა და იქ მიმაბრძანებდნენ, სადაც მართალნი სხედან.

ასე რომ, ჩემო მკითხველო, ხომ ხედავ, შიდა ქართლის თუ სამაჩაბლოს „გმირის“ „კატეგორიულობა“ არაფერ შუაშია. უბრალოდ „ერთი ადგილი“ არა აქვთ „კავკასიაში“, რადგან მე და ბაია ეთერში რომ შევეშვით, წერილის პირველ ნაწილში რომ გითხარით, რატომ ვიღლები და თქვენც გღლით-მეთქი, იმ ქრონომეტრაჟზე მოუწევდათ პასუხის გაცემა. თანაც ჩვენი შემხედვარე, დანარჩენ სტუმრებს იქნებ „и нашим и вашим“ წაუგებელი „სიმღერა“ შეეცვალათ და პედერასტი ლიბერალი ხლისტებისთვის თუ უბრალოდ, ნაღდი მამაკაცებისთვის თავთავისი კუთვნილი ადგილები მიეჩნიათ, ზუსტად ისე, როგორც ირმა ინაშვილმა გახადა იმ ღამეს გუბაზ სანიკიძე იძულებული, რომ სიმართლე ეთქვა.

**ასე რომ, ჩემო მკითხველო, ქართული ჟურნალისტიკის „ვარსკვლავბიჭუნამ“ ვერაფერიც ვერ ჩაფარცხა. პირიქით, მისი ხელოვნური სინანული დაპატიმრებული ბიჭების გამო, მისი მოწოდება თუ თხოვნა მათი განთავისუფლების თაობაზე, მისი ნიანგის ცრემლები გარდაცვლილის გამო, უბრალოდ ამაზრზენი იყო. მართალია, აქუბარდიას, ჯანგირაშვილის, ელისაშვილის პირდაპირი ხელის დადებით დააპატიმრეს ბიჭები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათივე მითითებებით ვინმეს გაათავისუფლებენ. რაც შეეხება მიცვალებულს, აბა მკვდარს რაღა ეშველება!?**

დავით მხეიძე

## ინფორმაცია

# უკრაინაში რუსული სამხედრო ბაზები ბრუნდება

**უკრაინაში რამდენიმე ახალი რუსული სამხედრო ბაზა გაჩნდება. ეს იქნება რუსეთის პასუხი ნატოს აღმოსავლეთისკენ გაფართოებაზე. რუსეთის ფედერაცია ასევე გეგმავს უკრაინაში შავი ზღვის ფლოტის პოზიციის გამყარებას. „ნეზავისიმაია გაზეტას“ ინფორმაციით, უპირველეს ყოვლისა, ამჟამად საუბარი მიდის, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს უკრაინაში, ბალაკლავაში არსებული წყალქვეშა გემების ბაზის აღდგენაზე. ამჟამად იქ მუზეუმია, რომელიც უკრაინის სამხედრო საზღვაო ძალებს ეკუთვნის.**

**ამას გარდა, მოსალოდნელია, რომ უკრაინა თანხმობას განაცხადებს ნიკოლაევში, ოდესაში და დუნაის შესართავთან რუსული სამხედრო ბაზების განთავსებაზეც. ასევე ცნობილია რუსეთის შავი ზღვის ფლოტის მოდერნიზაციის გეგმების შესახებაც. ეს საკითხი კი რუსეთის შავი ზღვის ფლოტისათვის უკრაინაში ყოფნის ვადის გახანგრძლივების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გახდა აქტუალური.**

**აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინათ ასევე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უკრაინის სახელმწიფო უშიშროების სამსახური რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურთან აპირებს გააფორმოს შეთანხმება, რომლის მიხედვითაც რუსეთის სპეცსამსახურები სევასტოპოლში დაბრუნდებიან.**

**რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები ყირიმიდან გასული წლის ბოლოს გამოაძევეს. ამას კი წინ უსწრებდა სკანდალი, რომელიც რუსი ჯაშუშების დაპატიმრებასთან იყო დაკავშირებული.**

**უკრაინაში რუსეთის ახალი სამხედრო ბაზებისა და რუსეთის შავი ზღვის ფლოტის განვითარების გეგმა 2020 წლამდეა გაწერილი.**

ХИ-ЭЙБ-ЭНИ

◎ წლები

# ღვინის ქომაგი

**ალექსანდრე დავითის ძე ქურდაძეს ვულოცავთ დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ხანგრძლივ ჯანმრთელ სიცოცხლეს და ბედნიერებას მისი ოჯახის წევრებთან, შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად. ალექსანდრე ქურდაძემ მთელი თავისი ნიჭის, უნარისა და ინტელექტის შესაძლებლობა მოახმარა საქართველოს აღმშენებლობის საქმეს.**

მან წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ალ. ქურდაძემ კვების მრეწველობის რიგითი ინჟინრის თანამდებობიდან ხელმძღვანელის თანამდებობამდე გაიარა ყველა საფეხური, შესძლო დარგის მრავალი პრობლემის დაძლევა, რისთვისაც მთავრობის არაერთი ჯილდო დაიმსახურა. დარგში მის მიერ დამუშავებული მეცნიერული შრომების და გამოგონებების რეალიზაციით საქართველომ მიიღო მილიონობით ეკონომიკური ეფექტი. არის საქართველოს და ყოფილი საბჭოთა კავშირის დამსახურებული გამომგონებელი. მისი გამოგონებების ლიცენზიები გაიყიდა იტალიაში, ფინეთში და არგენტინაში...

ბატონი ალექსანდრე ქურდაძე არის საქართველოს აგროტექნიკის სფეროში საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი და კონსტრუქტორი, გამომგონებელი და ინჟინერ-მექანიკოსი. იგი დაუზოგავი შრომის შედეგად გახდა მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ალმავლობისა და სამამულო მაღალხარისხიან ღვინოთა ქომაგი და პროპაგანდისტი, დარგის წამყვან ადმინისტრაციულ თანამდებობაზე მუშაობით კი — უნარიანი ხელმძღვანელი.

ალექსანდრე ქურდაძემ, თავისუფალი ეკონომიკის პირობებში, შვილებთან ერთად შექმნა შპს „ღვინის სახლი“ თავისი ფილიალებით, რითაც დაიმსახურა დიდი აღიარება, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრე ქურდაძის ნაშრომები დარგის სპეციალისტებისა და დაინტერესებული პირებისათვის სამაგიდო წიგნად იქცა, ხოლო მისი შრომითი გზა მაგალითია ახალგაზრდა ინიციატივიანი სპეციალისტებისათვის.

1996 წელს აირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად, 1998 წელს — ნიუიორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, 2002-2003 წლებში მას ირჩევენ მევენახეობა-მეღვინეობის და ინფორმატიკის საერთაშორისო აკადემიების ნამდვილ წევრად.

ალექსანდრე ქურდაძე სიტყვის და საქმის კაცია — ის ქართული ღვინის და ამ ეროვნული დარგის — მეღვინეობის დიდი სპეციალისტია.



ბატონ ალექსანდრე ქურდაძეს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ 80 წლის საიუბილეო თარიღს.

**საქართველოს გამომგონებელთა, რაციონიზატორთა და ნოვატორთა სახელით:**

**თამაზ შილაკაძე, საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების თავმჯდომარე, დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ტრანსპორტის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი; იოსებ ხაზარაძე, საქართველოს დამსახურებული გამომგონებელი, სოციალისტური შრომის გმირი; რევაზ თევზაძე, დოქტორი, პროფესორი, სოციალისტური შრომის გმირი; ვალერიან ჭელიძე, სოციალისტური შრომის გმირი.**

◎ გია ცაგარეიშვილი — 50

# რათა ემრავლოს საქართველოს...

## უშვილობის მკურნალობა ექსტრაკორპორალური განაყოფიერების მეთოდით

*ქართველი მეცნიერი, იოსებ ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის ექსტრაკორპორალური განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, ევროპის ანდროლოგთა აკადემიის ნამდვილი წევრი გია გურამის ძე ცაგარეიშვილი 1960 წლის 14 მაისს დაიბადა თბილისში.*

1979 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 54-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1985 წელს, ასევე წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი. იმავე წელს, ი. ჟორდანიას სახ. ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა არჩილ ხომასურიძემ მიიღო ამავე ინსტიტუტის კლინიკურ ორდინატურაში სპეციალობით — „რეპროდუქციული ენდოკრინოლოგია“, რომელიც დაამთავრა 1987 წელს. ამავე წელს აირჩიეს ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1988 წელს გია ცაგარეიშვილი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტურაში (ხელმძღვანელი — პროფესორი არჩილ ხომასურიძე). ასპირანტურის ვადაში დამთავრების შემდეგ, 1992 წელს იცავს საკანდიდატო დისერტაციას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. 2006 წელს გია ცაგარეიშვილი წარმატებით იცავს სადოქტორო დისერტაციას თემაზე „უშვილობის მკურნალობა ექსტრაკორპორალური განაყოფიერების მეთოდით საქართველოში“. ეს მეტად მნიშვნელოვანი სამუშაო შესრულებულია ინსტიტუტის თემატიკური გეგმის შესაბამისად და ეხება რეპროდუქციული მედიცინის მეტად პრიორიტეტულ პრობლემას — უნაყოფობას და მის მკურნალობას დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიებით, კერძოდ, ექსტრაკორპორალური განაყოფიერების მეთოდს.

ექსტრაკორპორალური განაყოფიერების და ემბრიონის გადატანის პროგრამის ოპტიმიზაციის მიზნით, პროფესორ არჩილ ხომასურიძის რჩევით, ბატონმა გიამ დაამუშავა და სამეცნიერო პრაქტიკაში დანერგა საკვერცხეების სტიმულაციის ახალი სქემები და რეჟიმები, მათი შერჩევის პრინციპები პაციენტების ჰორმონული სტატუსისა და უნაყოფობის თანმხლები სხვა გინეკოლოგიური დაავადებებისა (საშვილოსნოს მიომა, ენდომეტრიოზი, პოლიკისტოზური საკვერცხეების სინდრომი და სხვ.ძ და პაციენტის ასაკის გათვალისწინებით. ყურადღებაა გამახვილებული მიღებული ოოციტების და ემბრიონების ხარისხის შეფასების კრიტერიუმებზე, იმპლანტაციის, მიღებული ორსულობების მიმდინარეობის პროცესების მართვის თანამიმდევრულ სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე. მან შესძლო ექსტრაკორპორალური განყოფილებისა და ემბრიონის გადატანის პროგრამის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. ეს კი მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს პრაქტიკული და თეორიული რეპროდუქტოლოგიისათვის. მოწოდებული მეთოდით უნაყოფობის მკურნალობა უზრუნველყოფს შობადობის ზრდას და შესაბამისად, დემოგრაფიული პრობლემების გაუმჯობესებას, რასაც უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის.

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის გია ცაგარეიშვილის კვლევების საფუძველზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა უნაყოფობის მკურნალობის ახალი მიმართულება რეპროდუქციულ მედიცინაში. მისი სამეცნიერო მიღწევები მოხსენებულია როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე, სიმპოზიუმებზე და კონგრესებზე თბილისში, წყალტუბოში, რომში (იტალიაძ, სანკტ-პეტერბურგში (რუსეთიძ, მადრიდში (ესპანეთიძ, მუნსტერში (გერმანიაძ, ერევანში (სომხეთიძ, კოპენჰაგენში (დანიაძ, ათენში (საბერძნეთიძ, სინგაპურში, პარიზში (საფრანგეთიძ და სხვ. მისი კვლევის შედეგები ასახულია ასამდე სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარულ გამოცემებში. მისი კვლევის შედეგების საერთაშორისო აღიარების მაჩვენებელია ისიც, რომ იგი არჩეულია ევროპის ანდროლოგთა აკადემიის ნამდვილ წევრად, არის ევროპის რეპროდუქტოლოგთა და ემბრიოლოგთა საზოგადოებისა და მსოფლიო ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის ასოციაციების წევრი.

მართლაც დიდ ეროვნულ საქმეს ეწევა ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ს/კ ინსტიტუტი საერთოდ და ექსტრაკორპორალური განაყოფიერების განყოფილება კონკრეტულად, რომელსაც სათავეში უდგას დიდი პატრიოტი და თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული მეცნიერი და პრაქტიკული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გია გურამის ძე ცაგარეიშვილი, რომელიც დღეს გახდა 50 წლის.

ვუსურვოთ მას კიდევ ერთი 50 წელი ჯანმრთელობა, ოჯახური ბედნიერება და დიდი შრომითი მიღწევები ჩვენი თავისუფალი, დემოკრატიული და საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

**არსენ გვენეტაძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

◎ ინფორმაცია

## თაღლითობისთვის მოსამართლე დააკავეს

**სამართალდამცველებმა 12 მაისს ეჭვმიტანილის სახით ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ცირა მაისურაძე დააკავეს.**

ალნიშნულთან დაკავშირებით გუშინ მთავარ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს.

მათი ინფორმაციით, მოსამართლის დაკავების, მისი ბინის, სამუშაო ადგილის, პირადი ჩხრეკისა და აღკვეთის ღონისძიების — დაპატიმრების შეფარდების შესახებ თანხმობა საქართველოს მთავარი პროკურორის წინადადების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ გასცა.

მათივე განმარტებით, საქმეზე ჩატარებული წინასწარი გამოძიებით დადგინდა, რომ ახალციხის რაიონული სასამართლოს მოსამარ-



თლე ცირა მაისურაძე, 2010 წლის 4 იანვრიდან მივლინებული იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად. ცირა მაისურაძე განსასჯელებს - შალვა კოღუაშვილსა და ს/ს „თბილსრესის“ სხვა თანამშრომლებს დაპირდა, რომ დაეხმარებოდა საპროცესო შეთანხმების დადებაში და ამ მიზნით საქმეში ჩართო ადვოკატი რომან ნერგაძე. რამდენიმე დღეში ცირა მაისურაძე შეხვდა შუამავალს ლაშა გაგნიძეს და მოსთხოვა 5.000 დოლარის გადახდა, რომელიც ვითომდა სჭირდებოდა ახალციხეში მყოფი უცნობი პირისთვის გადასაცემად, რათა მას ზემოქმედება მოეხდინა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებზე, რომლებიც არ იქნებოდნენ განსასჯელ პირებთან საპროცესო შეთანხმების დადების წინააღმდეგი.

შეხვედრიდან მეორე დღეს ლაშა გაგნიძემ ცირა მაისურაძეს გადასცა მოთხოვნილი თანხა. მითითებული თანხის მიღებიდან ხუთი დღის გასვლის შემდეგ ლაშა გაგნიძემ ცირა მაისურაძეს, ამ უკანასკნელის მოთხოვნის საფუძველზე, თითქოსდა პროკურორ კოჭლამაზაშვილისთვის გადასაცემად კვლავ მიუტანა 3.000 დოლარი. გარდა ამისა, ცირა მაისურაძემ ლაშა გაგნიძეს, ვითომდა მოსამართლისათვის გადასაცემად მოსთხოვა კიდევ 10.000 დოლარის გადახდა.

ს/ს „თბილსრესის“ გაკოტრების მმართველმა დავით ჩაჩხიანმა, რომელიც ცირა მაისურაძისთვის და ადვოკატ რომან ნერგაძისთვის გადასაცემად თანხებს აძლევდა შუამავალ ლაშა გაგნიძეს, მას შემდეგ რაც დარწმუნდა, რომ გარდაბნის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე პროცესზე ს/ს „თბილსრესის“ თანამშრომლებთან არ გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, განცხადებით მიმართა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს, რის საფუძველზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

## საბერძნეთში ქართველი კრიმინალი მოკლეს



**საბერძნეთში** კრიმინალური სამყაროს ერთ-ერთი გავლენიანი ლიდერი ე.წ „კანონიერი ქურდი“ მალხაზ კიტია მოკლეს.

სააგენტო „ინტერფაქსის“ ინფორმაციით. მალხაზ კიტია, მეტსახელად „მახონია“, 46 წლის იყო.

რუსეთის სამართალდამცავების ინფორმაციით, კიტია 10 მაისს საბერძნეთის ტერიტორიაზე უცნობმა პირებმა ჩაცხრილეს.

— კიტია, სავარაუდოდ, ტარიელ ონიანისა (ტარო) და ასლან უსოიანის (დედ ჰასანი) კლანების ომის მსხვერპლი გახდა, — განაცხადა სააგენტომ.

ტარიელ ონიანისა და ასლან უსოიანის კლანებს შორის დაპირისპირება ვიაჩესლავ ივანკოვის — იაპონჩიკის მკვლელობის შემდეგ დაიწყო, რომელსაც მხარს უჭერდა დედ ჰასანი.

კიტია ტარიელ ონიანის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური „თანამებრძოლი“ გახლდათ, რომელსაც დამნაშავეთა სამყარომ იაპონჩიკის მკვლელობის პასუხიმგებლობა დააკისრა.

ᲮᲝ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲝ

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ზურაბ ნოღაიდელი კრემლსა და თბილისს შორის დამაკავშირებელი რგოლია

**საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, დღეს კი ოპოზიციური პარტიის „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერმა ზურაბ ნოღაიდელმა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ იკისრა თბილისსა და მოსკოვს შორის მომლაპარაკებლის შემრიგებლური ფუნქცია**

მოსკოვში ხშირი ვოიაჟებისა და თავის პარტიასა და რუსეთის მმართველ პარტიას „ედინაია როსიას“ შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სენსაციური აღმოჩნდა ნოღაიდელის განცხადება. მან თქვა, რომ აქვს „ზუსტი გეგმა“ იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ აიძულოს რუსეთი – უარი თქვას საქართველოს ორი სეპარატისტული ოლქის დამოუკიდებლობის აღიარებაზე.

„გეგმა არის ის, რომ უზრუნველვყოთ ათასობით ქართველი ლტოლვილის დაბრუნება ამ ოლქებში – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და ალვადგინოთ ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები“, – უთხრა ჟურნალისტებს თბილისში ნოღაიდელმა 4 მაისს.

ნოღაიდელის განცხადებაზე ოფიციალურ თბილისს არანაირი რეაგირება არ გაუკეთებია, რაც საკმაოდ უცნაურია. უცნაურია ისიც, რომ ოპოზიციური ალიანსის ლიდერის აქტიური საქმიანობისა და ხშირი ვიზიტების გამო მოსკოვში, საქართველოში იგი ოფიციალურად არ აღიარეს ჯაშუშად, არც სამშობლოს მოღალატედ. ქვეყნის ხელისუფლება თავს ისე წარმოაჩენს, თითქოს არაფერი ხდებოდეს.

ნოღაიდელის დემარშისა და რუსეთთან მისი კავშირებისადმი ასეთი ტოლერანტული დამოკიდებულება შეიძლება აიხსნას მხოლოდ ერთი რამით: ყოფილი ექს-პრემიერი ასრულებს ერთგვარ ფუნქციას საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებებს შორის, რომელთა შორისაც დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობს თითქმის უკვე ორი წელიწადია.

თუ ეს ასეა, მაშინ გასაგებია, რომ თავის სამშობლოში არაპოპულარული ეს პოლიტიკოსი ასე ისწრაფვის მოსკოვთან მოლაპარაკებისთვის ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის საკვანძო საკითხებზე.

ნოღაიდელი აპირებს კვლავ ჩავიდეს მოსკოვში და განიხილოს იქ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნებისა და საქართველოსა და რუსეთს შორის პირდაპირი ავიამიმოსვლის განახლების საკითხები, აგრეთვე რუსეთის ბაზრებზე ქართული პროდუქციის დაბრუნების პრობლემები.

გასაგებია, რომ საქართველოს მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსის მოპოვება და რუსეთთან დიალოგი – აუცილებლად შეცვლიან ორ ქვეყანას შორის ურთიერთობათა ფორმატს.

მაგრამ, ურთიერთობათა რთული ამჟამინდელი ისტორიის გათვალისწინებით, რუსეთისა და საქართველოს მთავრობებს არ შეუძლიათ დაიწყონ მტკივნეული საკითხების განხილვა. ამ სიტუაციაში სწორედ ოპოზიციური ლიდერები ასრულე-



ბენ ერთადერთი დამაკავშირებელი რგოლის როლს მეზობელ ქვეყნებს შორის, სადაც მთავარი მომლაპარაკებელი უკვე რამდენიმე თვეა არის სწორედ ნოღაიდელი.

მთავრობას ეს, როგორც ჩანს, სავსებით აძლევს ხელს, ვინაიდან ურთიერთობა რუსეთთან სხვადასხვა დარგში, მიუხედავად ურთიერთობათა მთელი სირთულისა, მნიშვნელოვანია ოფიციალური თბილისისთვის.

ჯერ კიდევ 2008 წლის იანვარში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მართლაც ნამდვილად ცდილობდა გაეუმჯობესებინა ურთიერთობა რუსეთთან. მაშინ მან განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსეთის საკითხის დეპარტამენტის შექმნის შესახებ, რომლის ძირითადი ამოცანა მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესება იყო. დეპარტამენტს სათავეში ედგა გრიგოლ ვაშაძე, გამოცდილი დიპლომატი მოსკოვთან ძველ ურთიერთობებში. საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან თავისი ურთიერთობის გაუმჯობესების დაწვრილებითი გეგმაც კი შეადგინა. მაგრამ საქართველოში 2008 წლის მოვლენებმა და რუსეთის ჯარების ჩართვამ, აგრეთვე რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებამ მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობათა გაუმჯობესების ყველა იმედი გადაშალა.

ამჯერად ზემოაღნიშნული დეპარტამენტის ფუნქციები იკისრა ნოღაიდელმა.

არასწორი იქნებოდა გვევარაუდა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა რთული მომენტების მოწესრიგებისას ნოღაიდელი ცდილობს გაიმეოროს უკრაინის სცენარი და გახდეს კრემლის კაცი პრეზიდენტის პოსტზე.

არც მას ან რომელიმე ლიდერს ოპოზიციიდან არ გააჩნია სათანადო მხარდაჭერა ქვეყნის შიგნით, სადაც მცხოვრებთა უმეტესობა მხარს უჭერს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საშინაო პოლიტიკას.

მაგრამ თუ ამჟამად ნოღაიდელი მართლაც მოქმედებს ხელისუფლების მდუმარე თანხმობით, მას აქვს კარგი შანსი დროის განმავლობაში დაიკავოს პრემიერის პოსტიც კი მიხეილ სააკაშვილის მთავრობაში. თავად პრეზიდენტს კი შეეძლება გამოიყენოს ეს ფაქტი, როგორც ოპოზიციის ლიდერებისადმი ტოლერანტობის სრული დადასტურება, რაც დადებითად აისახება საქართველოს დემოკრატიულ სახეზე მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში.

ამ დროს წარმოიქმნება ნათელი სურათი: ერთი მხრივ, ურთიერთობა რუსეთთან, უეჭველია, დაიწყებს მოწესრიგებას და ყველა სადავო მომენტებს მხარეები განიხილავენ უშუალო დიპლომატიური კონტაქტების გარეშე ქვეყნებს შორის. მეორე მხრივ, ნოღაიდელი დაიკავებს პოსტს მთავრობაში და შეიძენს საუცხოო მომლაპარაკებლის სტატუსს. მოგებულს, საბოლოო ჯამში, დარჩება ყველა. და რაც მთავარია, შეიძლება მოხდეს ისე, რომ ჩვეულებრივ ადამიანებს, ათასობით დევნილს გაუჩნდება რეალური შესაძლებლობა – დაუბრუნდნენ თავიანთ სახლებს და თავიანთ მიწებს.

TREND

# პენტაგონის ახალგაზრდა თანამშრომელმა რუსეთ-საქართველოს ომის დროს საკვანძო როლი შეასრულა

**2008 წლის აგვისტოში გაჩაღდა ომი რუსეთსა და საქართველოს შორის. მარკ სიმაკოვსკი მაშინ იყო პენტაგონის აპარატის ახალგაზრდა, თითქმის უცნობი თანამშრომელი. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს 28 წლის მარკი გახდა საკვანძო თანამშრომელი: ის გამოიძახეს თავდაცვის მინისტრთან რობერტ გეიტსთან და სხვა მაღალი თანამდებობის მუშაკებთან, რათა უზრუნველეყო ინფორმაციის დროული შემოსვლა და მოეხდინა მოვლენათა პროგნოზირება**

თავდაცვის მინისტრის აპარატში საქართველოს სამმართველოს უფროსის პოსტზე სიმაკოვსკიმ გამოიყენა თავისი დიდი ცოდნა და ვრცელი კავშირურთიერთობანი მთელს მთავრობაში ისევე, როგორც საქართველოში, და მალე შეკრიბა ცნობები ადგილზე, რის შემდეგაც გადასცა ისინი მაღალი თანამდებობის პირებს, ვინც ღებულობდა გადაწყვეტილებას და გაუწია მათ კონსულტაციაც პრობლემების რთულ კომპლექსთან დაკავშირებით, თუ ვის გამო დაიწყო და გაჩაღდა კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის.

„მარკმა გამართა ბრიფინგი მინისტრ გეიტსთან, რომელზეც მისმა სიტყვებმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ უბრძანა მარკს გააგრძელოს“, – გვიამბობს თავდაცვის მინისტრის თანაშემწის ყოფილი მოადგილე ევროპისა და ნატოს საკითხებში დენ ფატა.

მისი სიტყვებით, სიმაკოვსკი პირველი კაცი იყო პენტაგონში, შეიძლება მთელს მთავრობაშიც, ვინც განსაზღვრა ომის პირველი სვლები და აცნობა მათ შესახებ, შემდეგ კი მოინდომა ემორიგევა მთელი დღე-ღამის განმავლობაში, რათა თვალყური ედევნებინა მოვლენებისთვის.

ფატამ ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ იწერდა სიმაკოვსკი მოვლენებს, წყვეტდა მრავალრიცხოვან ამოცანებს და მუშაობდა წმინდა ადრენალინზე. მისი სიტყვებით, სიმაკოვსკიმ ზუსტად წარმოაჩინა თავისი თავი, როგორც „საქართველოს ექსპერტმა პენტაგონში“.

„ისტორიის სახელმძღვანელოში მისი როლის შესახებ არაფერს არასოდეს დაწერენ, მაგრამ გეიტსმა და მე ვიცით, თუ როგორ იყო ეს“, – ამბობს ფატა.

კონფლიქტის დროს სიმაკოვსკი მონაწილეობდა თავდაცვის მოქმედი სამინისტროს ხელმძღვანელობაში ადგილზე სწრაფად ცვალებადი პირობების საპასუხოდ, ახდენდა 2 ათასი ქართველი ჯარისკაცის ერაყიდან საქართველოში უკან დაბრუნების პროცესის კოორდინაციას და უზრუნველყოფდა სამინისტროს თანამშრომლების უზრუნველყოფას ქვეყანაში.

მერი უორლიკი, რომელიც ამჟამად სათავეში უდგას ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიურ მისიას სერბეთში, გვიამბობს, რომ სიმაკოვსკი მონაწილეობდა საქართველოს მოლოდინთა კოორდინაციაშიც ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციის ნაწილში კრიზისის დროს, აგრეთვე სათავეში ედგა ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ორმხრივი თავდაცვითი პოლიტიკის დამუშავების კოლექტივს კონფლიქტის შემდეგ.

„ვინც ეძებს ლიდერების ახალი თაობის წარმომადგენლებს – იგი პირველ ადგილზე დააყენეთ“, – თქვა უორლიკმა. – „გეიტსი მას ძალიან ენდობა“.

სიმაკოვსკიმ თქვა, რომ მისთვის ძალიან რთული იყო მუშაობა სახელმწიფო მნიშვნელობის საგარეო პოლიტიკურ საქმეებზე და ცდილობდა „განესაზღვრა, თუ როგორ იქნებოდა ყველაზე უკეთ რეგიონში ჩვენი ინტერესების რეალიზაცია“. მისი სიტყვებით, შესაძლებლობაში – შეეტანა თავისი წვლილი ამ რთულ საქმეში, მას დაეხმარნენ მისი კოლეგები და ხელმძღვანელები თავდაცვის სამინისტროდან და ამერიკის შეერთებული შტატების დანარჩენი საკვანძო სახელმწიფო ორგანოებიდან.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მხარდაჭერით მოსარგებლე სეპარატისტებსა და საქართველოს სახელმწიფოს შორის ხანგრძლივი მზარდი დაპირისპირებისა და ინციდენტების შემდეგ სამხრეთ ოსეთის გამოყოფილ რეგიონში დაიწყო გააფთრებული ბრძოლები. ბრძოლები ხუთი დღე გრძელდებოდა და სწრაფად ვრცელდებოდა ქვეყნის სხვა ნაწილებზეც: რუსეთის ჯარები ღრმად შეიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

კონფლიქტის გამო გაუარესდა ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და რუსეთს შორის. გეიტსი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები მოითხოვდნენ, რომ რუსეთმა და საქართველომ დაიკავონ ძველი პოზიციები და თავი შეიკავონ აგრესიის გამოვლენისგან.

სიმაკოვსკი აგრძელებს თავდაცვის სამინისტროს და უწყებათაშორისი ორგანოების დახმარებას, კონსულტაციას უწევს მათ, რათა აღმოუჩინონ თანადგომა ევროატლანტიკური რეფორმების მომზადებაში.

სიმაკოვსკიმ თავისი თეორიული მომზადება შეიძინა ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში სწავლის დროს, პრაქტიკული ჩვევები კი სრულყო საქართველოში სტაჟირების დროს ფულბრაიტის სტიპენდიით 2005-დან 2006 წლამდე, აგრეთვე რეგიონში თავისი მოგზაურობის დროს უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში.

პენტაგონის ახალგაზრდა მუშაკმა განაცხადა, რომ მის ცოდნას რეგიონში, პიროვნულ გამოცდილებასა და კავშირურთიერთობებს „ოქროს ფასად აფასებდნენ“, როდესაც გაჩაღდა კრიზისი. სიმაკოვსკი ადრე მუშაობდა სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუროში რუსეთის საქმეებთან დაკავშირებით, რისი წყალობითაც მიიღო ვრცელი წარმოდგენა სამთავრობო ორგანოების მუშაობის შესახებ და შეიგრძნო მჭიდრო უწყებათაშორისი თანამშრომლობის აუცილებლობა.

სიმაკოვსკი დაიბადა სსრ კავშირიდან ემიგრირებულთა ოჯახში, იცოდა რუსული ენა, ვინაიდან იგი იყო ოჯახური ურთიერთობის ენა. მისი მშობლები ჩავიდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლენინგრადიდან და მიიღეს დევნილების სტატუსი.

სიმაკოვსკი ამბობს, რომ ბავშვობიდანვე ოცნებობდა სახელმწიფო სამსახურის კარიერაზე. მისი სიტყვებით, მთავრობაში მუშაობას იგი განიხილავს, როგორც შანსს „შეიტანოს თავისი წვლილი და დაეხმაროს იმ ქვეყანას, რომელმაც მისცა ჩემს ქვეყანას ყველაფერი, განსაკუთრებით – შესაძლებლობანი და თავისუფლება“.

„რუსეთ-საქართველოს ომი ჩემთვის ცხოვრებისეული გამოცდილება იყო. კვლავ ვირწმუნე, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა შეინარჩუნოს ლიდერობა ევრაზიაში, მონაწილეობა მიიღოს მის საქმეებში. კრიზისი წარმოქმნის არა მხოლოდ საშიშროებას, არამედ შესაძლებლობასაც და იმედი მაქვს, რომ კიდევ მრავალი წლის განმავლობაში მექნება ბედნიერება – მივიღო მონაწილეობა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვისა და უშიშროების კონცეფციის დამუშავებაში“.

washingtonpost.com

## დედამიწის ზურგზე



**თვითმფრინავის გატაცების მცდელობისთვის გერმანიაში დაკავებული რუსი პილოტები გაათავისუფლეს**

„გამტაცებლების“ შესახებ ცნობის გამავრცელებელმა ყურადღებიანმა მგზავრმა ქალმა, უბრალოდ, ვერ გაიგო საუბარი. დაკითხვამ ვერ გამოავლინა საბაბი ორი რუსეთელის დაკავებისთვის თვითმფრინავის გატაცებასთან დაკავშირებით. პოლიციამ მათი ბაგაჟი და თავად თვითმფრინავიც შეამოწმა, მაგრამ ვერაფერი საეჭვო ვერ აღმოაჩინა.

* * *



**ყირგიზეთის ახალი ხელისუფლების ოპონენტებმა ხელში ჩაიგდეს ადმინისტრაცია ორშში და დააბრუნეს ყოფილი გუბერნატორი**

გადაყენებული გუბერნატორის მამასადიკ ბაკიროვის ასობით მომხრე შეიჭრა ადმინისტრაციის შენობაში და კვლავ აირჩია იგი ორშის ოლქის ხელმძღვანელად. ბაკიროვმა აღნიშნა, რომ აქციის მონაწილეები არ არიან მისი მომხრეები. გადაყენებული პრეზიდენტის დაცვის კომიტეტიც უარს ამბობს აგრეთვე ორშში მომხდარ აქციაში მონაწილეობაზე.

* * *

**ყაზახეთის პარლამენტმა ნაზარბაევი „ერის ლიდერად“ აღიარა – ეს დაიცავს მას დაპატიმრებისგან**



პარლამენტის ზედა და ქვედა პალატებმა მოიწონეს ეს გადაწყვეტილება. ახლა კანონპროექტს ხელი უნდა მოაწეროს ქვეყნის პრეზიდენტმა, რომელიც უკვე 20 წელზე მეტია, თავად ნაზარბაევია. გასაოცარია, რომ კანონპროექტს ღებულობენ ყირგიზეთში მოვლენების ცხელ კვალზე.

* * *

**ლიბიაში აღმოაჩინეს ავიაკატასტროფის დროს დაღუპული ყველა, 103 კაცის ცხედარი. გადარჩა მხოლოდ ერთი ბიჭი**

გენერალური პროკურატურის თანამშრომლები და კრიმინალისტები შეუდგნენ კატასტროფის მსხვერპლთა ამოცნობის პროცედურას, მათ შორის დნმ-ის ანალიზის დახმარებითაც. დაღუპული ლაინერის ბორტზე იმყოფებოდნენ მგზავრები 9 ქვეყნიდან. უმრავლესობა (62 კაცი) ჰოლანდიელი იყო.



წკეპლიკა

# დიდ მიშას დიდივე თეთრი დათვებისაგან




**ქვეყანას მარტო უმუშევრობა კი არ აწუხებს — უმიშევრობაც. ქვეყანაში უმუშევრობასთან ერთად დაჩქარებული ტემპით იზრდება უმიშევრობაც: ვინმემ თუ დათვალა, წელიწადში რამდენი დღე არ არის პრეზიდენტი მიშა თბილისში და რამდენი დღე არ არის საქართველოში? აღარაფერს ვამბობ იმ თანხაზე, რაც წელიწადში უჯდება ხაზინას მიხეილ სააკაშვილის მიმოსვლა, გაფრენ-გამოფრენა, წაგრიალ-მოგრიალება და საერთოდ, გრიალი; ეს ისევე „დაუთვლადია“, როგორც „ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები“ (გაფრენებს რაც შეეხება, ნეტავ მარტო საჰაეროს სჯერდებოდეს...).**

აგერ, ახლახანაც —ააფრინა „ბოინგი“ — რომის პაპსაც „მოვიმკიო“; რომს არ დადგა, მოსხლტა იქაც: მიელოდა კოსტა-რიკა... კოსტა-რიკაში კარგი, გავიგეთ — პრეზიდენტის ინაუგურაციაზე ყოფილა მიწვეული თუ მიუწვეველი — აი, რომის პაპთან რა უნდოდა, ამას კი ვერ მივხვდი; შესალოცად თუ ჩავიდა (აქაურს ვერ ენდოძ, კიდევ ჰო...

ჩრდილოეთ პოლუსის თეთრ დათვებს თურმე ჩრდილოყინულოვანი სამიტის გამართვა გადაუწყვეტიათ და ჩვენი ჩაუქი პრეზიდენტისათვის, ჩვენი ჩაუქესკუსათვის, მულჩაუხრელისათვის, ჭკუადამჯდარისა და ბოინგდაუმჯდარისათვის შემოუთვლიათ: მთელი მსოფლიო გაქვს შემოვლილი (გარდა პოლუსებისაძ, მთელს მსოფლიოს უყვარხარ და ჩვენ სად უნდა გექიოთ; რა იქნება, მიშიკო, ერთხელ პოლუსსაც ეწვიოო; ჩვენ ხომ ერთი გორისა ვართ, „ბელაია მიშკა“ და მიშიკო რამ გაყოო...

იქვე რჩევაც დაუყოლებიათ: თუ ჩვენს მოწვევას დათანხმდები, „ბოინგით“ ნუ გამოფრინდები ბოლომდე, აქეთ ძრავები გაეყინებაო; ყინულმჭრელი შეიძინე მეგობარ ქვეყანაში — შვედეთში, გინდ ნორვეგიაში, გინდ ფინეთში, მაგის ფულს ვინ დაგიჭერს მიჩვეულ და ფულუხვ საქართველოშიო; მერე იმ ყინულმჭრელს „ჯორჯ ბუში-უმცროსი“ დაარქვი და გამოცურეო...

P. S.-ში კი დაუყოლებიათ; სელაპის მწვადები და კუჭზესაყრელი სასუშე თევზი ჩვენზე იყოსო...

დაყაბულდება თუ არა თეთრი დათვების ამ თავაზიან მიწვევას ბატონი პრეზიდენტი, ავლაბრის არათეთრ სახლსა თუ ერთგულ პრეს-მდივანს (ქალბატონი მანანა მანჯგალაძეძ ჯერ არ განუცხადებიათ...

**ლუკა გორგაძე**

წარმატება და აღიარება

# „როცა ჩემში ღმერთი ჩნდება“

**ბოლო წლებში არატრადიციული მეთოდებით მომუშავე ადამიანების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს გამოხატავენ. ყველასთვის ცნობილია, რომ ბიოენერგოთერაპევტი მაგული გორდელაძე ღვთით ნაბოძები ნიჭით არის დაჯილდოებული და წლების განმავლობაში სხვადასხვა სენით დაავადებულ მრავალ ადამიანს ეხმარება. შედეგიც დადებითია.**

ალტერნატიული მედიცინის ცნობილი სპეციალისტისა და მკურნალის მაგული გორდელაძის მოღვაწეობა ორ ძირითად ეტაპად იყოფა. პირველია საქართველოში და შემდეგ კი — გერმანიაში. 1990 წელს პირველად საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ბავშვთა პირველ კლინიკურ საავადმყოფოში დაინიშნა მაგული გორდელაძე. ლაბორატორიის მიზანი იყო ბიოენერგოინფორმაციული მეთოდის აპრობაცია, თხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვებზე დაკვირვება და სხვა. 1000-ზე მეტ ბავშვზე ჩატარებულმა მკურნალობამ წარმატებული შედეგი გამოიღო. მან მრავალი მოზარდი განკურნა საოცარი ენერგიით სხვადასხვა სენისგან. საქართველოში მოღვაწეობის პარალელურად, ქალბატონი მაგული ინტენსიურად აწარმოებდა ავადმყოფთა მკურნალობას და მის მიერ დანერგილი ახალი მეთოდის აპრობაციას საზღვარგარეთის ქვეყნებში. გაზეთები მის შესახებ წერდნენ, რომ: „მაგული გორდელაძეს განსაკუთრებული ნიჭი აქვს, იგი პაციენტებს გასინჯვის შემდეგ ზუსტ დიაგნოზს უსვამს. მრავალი წლის განმავლობაში ეს პროცესი უშეცდომოდ მიმდინარეობს“.




მაგული გორდელაძემ მრავალი ჯილდო მიიღო და არაერთი საღამო გაიმართა მის საპატივსაცემოდ. ცოტა ხნის წინათ კი გერმანელთა ასოციაცია „აინუნგში“ მისი მოღვაწეობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო ჩატარდა. მაგული გორდელაძეზე გამოცემულ წიგნში „მკურნალმა ჰკურნოს“ ნათლად ჩანს ის დამსახურებები და წარმატებული კარიერა, რასაც მან დღემდე მიაღწია. იგი ასევე შესულია წიგნში „ჩვენ — საქართველოს ქალები“.

მაგული გორდელაძის წარმატებული მოღვაწეობა ღირსების ორდენით აღინიშნა, რომელიც 2000 წელს გერმანიის ქალაქ ბონში საქართველოს საელჩოში საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს ელჩმა გერმანიაში. 1997 წლიდან კი იგი მუშაობს ფრანკფურტის გინეკოლოგიურ კლინიკაში, როგორც მედიცინის მეცნიერ-მრჩეველი ენერგოინფორმატიკის დარგში.

გერმანელები მას სახელოვან, მსოფლიოში გამორჩენილ მკურნალს უწოდებენ. იგი ქართველმა საზოგადოებამ უცხოეთში აღიარების შემდეგ გაიცნო. პირველი პუბლიკაცია მასზე იუგოსლავიურ გაზეთ „ბორბაში“ დაიბეჭდა 1989 წლის დასაწყისში. პირველ უცხოურ პუბლიკაციას მოჰყვა ნარგიზა მგელაძის გახმაურებული წერილი გაზეთ „თბილისში“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მაგული გორდელაძემ მთელი ეპოქა შექმნა ბიოენერგოინფორმატიკაში. იგი იშვიათი, მართლაც, განუმეორებელი ფენომენია, როგორც სამკურნალო-პრაქტიკული მოღვაწეობით, ისე ადამიანურ ურთიერთობებში. მისი სითბო და სიყვარული ადამიანების მიმართ ულევია, მას ყოველთვის ჰქონდა მათი დახმარების სურვილი და იქნებ ეს შემთხვევითაც არ მოხდა. გაზეთ „ბორბისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მაგული გორდელაძე ამბობს — „როცა არ ვმუშაობ, დიდი შარავანდის დროს, ხელისგულში ენერგია მიგროვდება“. პოეტი კი დაუმატებდა: „როცა ჩემში ღმერთი ჩნდება“... ამის დასტურია ასევე მისი სიტყვები: „მოსკოვის კვების ინსტიტუტში მითხრეს, რომ ჩემი ხელები კოსმოსსა და ადამიანს შორის გამტარნი არიან“.

მაგული გორდელაძის 20-წლიანი მოღვაწეობა ბიოენერგოინფორმატიკაში საკმაოდ წარმატებულია. ვიმედოვნებთ, რომ კიდევ მრავალი წელი გააგრძელებს იგი საქმიანობას და ბევრ ავადმყოფს განკურნავს.

**ხატია მუსერიძე**

# შპს „გეო ფარმა 1“ აცხადებს აუქციონს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში (იჯარით) გაცემის მიზნით

**აუქციონზე გამოტანილი იქნება შპს „გეო ფარმა1“-ის კაპიტალში არსებული ქ. თბილისში, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №1-ში, ნაგებობა №2-ში, ნაგებობა №4-ში, ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №17 ა-ში, ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №70-ში და ქ. თბილისში, ჭიაურელის ქ. №2, შენობა-ნაგებობა №3, 7-ში მდებარე ფართები.**

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

**იჯარით გამცემი — შპს „გეო ფარმა1“**

| [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|
| 1. [illegible] | [illegible] | 12 თვე |
| 2. [illegible] | [illegible] | 12 თვე |
| 3. [illegible] | [illegible] | 12 თვე |
| 4. [illegible] | [illegible] | 12 თვე |
| 5. [illegible] | [illegible] | 24 თვე |
| 6. [illegible] | [illegible] | 24 თვე |
| 7. [illegible] | [illegible] | 24 თვე |
| 8. [illegible] | [illegible] | 24 თვე |
| 9. [illegible] | [illegible] | 24 თვე |
| 10. [illegible] | [illegible] | 24 თვე |
| 11. [illegible] | [illegible] | 24 თვე |
| 12. [illegible] | [illegible] | 24 თვე |
| 13. [illegible] | [illegible] | 24 თვე |
| 14. [illegible] | 4.00 ლარი (1 კვ.მ.) | 24 თვე |
| 15. [illegible] | 4.00 ლარი (1 კვ.მ.) | 24 თვე |
| 16. ქ. თბილისი, ჭიაურელის ქ. №2, შენობა-ნაგებობა №3,7 სარდაფი (836,8 კვ.მ.) | 2.00 ლარი (1 კვ.მ.) | 24 თვე |

**საუქციონო პირობები:**

საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს პრივატიზებამდე საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებებიძ;

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა საუქციონო რეგისტრატორს უნდა წარუდგინონ დოკუმენტები:

- განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, იმ ძირითადი საშუალების დასახელებას, რომლის იჯარით აღებაც სურს მონაწილეს და თანხმობას საუქციონო პირობების შესრულების თაობაზე;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტისძ ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაშიძ;
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაშიძ;

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 2010 წლის 14 მაისიდან 2010 წლის 27 მაისის ჩათვლით 11-დან 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2.

აუქციონი ჩატარდება 28 მაისს 14 საათზე.

**საკონტაქტო ტელეფონი: 36 38 61**

**შპს „გეო ფარმა 1“**




ფეხბურთი

# 48 წლის შემდეგ

**1962 წელს მადრიდის „ატლეტიკომ“ ფინალური მატჩი ფლორენციის „ფიორენტინას“ მოუგო და თასების მფლობელთა თასი მოიპოვა.**

მას შემდეგ „ვისენტე კალდერონის“ სტადიონის ბინადრები კიდევ სამჯერ გავიდნენ კონტინენტის პოპულარული საკლუბო ტურნირების დასკვნით რაუნდში, მაგრამ ყველა წააგეს.

და აი, მეხუთე ცდა წარმატებით დაგვირგვინდა – კიკე სანჩეს ფლორესის გაწვრთნილი გუნდი ევროპის ლიგის გამარჯვებულია.

გადამწყვეტ ბრძოლაში რომ ერთმანეთს ღირსეული მეტოქენი შეხვდნენ, მათ მიერ განვლილი გზაც ადასტურებს. კერძოდ, ესპანელებმა წინა ეტაპებზე „სპორტინგი“, „ვალენსია“ და „ლივერპული“ დააშამათეს, „ფულჰემმა“ კი, რომელიც წლეულს პირველად გაერია ელიტურ მარაქაში, გათამაშებიდან „შახტარი“, „იუვენტუსი“ და „ჰამბურგი“ გამოთიშა. სხვათა შორის, სატიტულო დუელს, ბედის ირონიით, ამ უკანასკნელის მშობლიურმა „ნორდ ბანკ არენამ“ უმასპინძლა, გერმანელებს კი თანამემამულეთა გულშემატკივრობის შანსი სწორედ კუნძულელებმა მოუსპეს.



რაც შეეხება თვით თამაშს, მასში ორივენი ოპტიმალური შემადგენლობით ჩაებნენ, თუმცა როი ჰოჯსონის კრებულის ლიდერები დაფი და ზამორა ბოლომდე მოუშუშებელი ტრავმებით გავიდნენ სარბიელზე და შესაცვლელნი გახდნენ. ეტყობა, გარკვეულწილად ამანაც განაპირობა პირენეელთა ტრიუმფი დამატებით დროში – 2:1 (ფორლანი – 2; დევისი).

მიღწევის მიუხედავად, „წითელზოლიანებს“ ზეიმის გადადება მოუწევთ, რადგან უკვე ხვალ ესპანეთის „სამეფო თასის“ გათამაშების ფინალური მატჩის გამართვა ელით „სევილიასთან“.

საშვილიშვილო პროექტი

# ეს ფილმი უნდა დასრულდეს!





**გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე სულმნათმა ნოდარ ახალკაცმა ქართული ფეხბურთის საუკუნოვანი თარიღის სათანადოდ აღნიშვნა გადაწყვიტა. ბუნებრივია, ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა საკითხი ფიფასა და უეფას დებულებათა შესაბამისად უნდა მოგვარებულიყო.**

ჩანაფიქრის თანახმად, საიუბილეო ღონისძიებებს სტარტი ბათუმში უნდა აეღო, ფოთში გაგრძელებულიყო და დედაქალაქის ოპერისა და ბალეტის თეატრში დაგვირგვინებულიყო. განზრახული იყო მრავალრიცხოვან საპატიო სტუმართა, მათ შორის ფიფაუეფას, აგრეთვე პოსტსაბჭოთა ქვეყნების დელეგაციათა მოწვევა და ოთხთა ტურნირის გამართვა ეროვნულ ნაკრებთა მონაწილეობით.

მასშტაბურ პროექტში განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დათმობილი დოკუმენტურ ფილმს ქართული ფეხბურთის შესახებ, რომლის გადაღებაც გამოცდილ კინორეჟისორს გოგი თორაძეს დაევალა. იგი ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებზე უნდა გაეხმოვანებინათ და ფიფასა და უეფას შტაბ-ბინებში წარედგინათ.

ბატონმა გოგიმ, ჩვეულებისამებრ, წარმატებით გაართვა თავი მამულიშვილურ მისიას და რომ არა დიდი მაესტროს მოულოდნელი გარდაცვალება, ყველაფერი კარგა ხნის დამთავრებული იქნებოდა. სამწუხაროდ, მას შემდეგ თითქმის ბოლომდე მიყვანილ საქმეს ქომაგი არავინ გამოუჩნდა.

მოგეხსენებათ, გაისად 30 წელი სრულდება დიუსელდორფის ტრიუმფიდან. დინამოელთა მაშინდელ კაპიტანს, ამჟამად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, ღირსეულ პიროვნებას ალექსანდრე ჩივაძეს, ვფიქრობ, ყველაზე მეტად ხელეწიფება თანამედროვეთა ოცნების ხორცშესხმა.

ცნობისათვის: მოდით, კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი გოგი თორაძის მიერ სპორტულ თემაზე გადაღებულ დოკუმენტური ფილმების ნუსხას: „სნაიპერი“ (ნინო სალუქვაძეზე), „კომენტატორი“ (კოტე მახარაძეზე), „ოვალური ბურთი“ (რაგბიზე), „ნოდარ ახალკაცი“ და „ალექსანდრე ჩივაძე“.

დაგვეთანხმებით, მომავალი კინომატიანე შესანიშნავი საჩუქარი იქნება სრულიად საქართველოსათვის.

**დურმიშხან ცინცაძე**

ჭადრაკი

# „მადრასის ვეფხვმა“ გაიმარჯვა

**დიახ, ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობა შეინარჩუნა „მადრასელმა ვეფხვმა“, როგორც საჭადრაკო წრეებშია ცნობილი ინდოელი დიდოსტატი ვიშვანათან ანანდი.**

**სოფიაში გამართულ მატჩში მსოფლიოს გვირგვინისთვის ანანდსა და ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს შორის ბოლო, მე-12 პარტიის წინ ანგარიში საყაიმო იყო – 5,5:5,5.**

ყველაფერი ბოლო პარტიას უნდა გადაეწყვიტა. ისევ ყაიმის შემთხვევაში კი ტაი-ბრეიკი უნდა დანიშნულიყო.

აქამდე ვიშიმ თავი გამოიჩინა ენდშპილის ტექნიკაში, ვესილინმა კი მეტოქეს მიტელშპილში აჯობა.

დასკვნით პარტიაში ანანდმა უკვე მეორე სვლიდანვე შესთავაზა მეტოქესაც და მაყურებლებსაც სიურპრიზი და მატჩში პირველად დედოფლის პაიკის შემდეგ წინ მეფის პაიკიც წასწია. საერთოდ კი ძალზე ლამაზი გამარჯვება მოიპოვა შავი ფიგურებით.

ასე რომ, ისევ „ძველი“ მსოფლიო ჩემპიონი გვყავს!




ინტერნეტიდან

## ფილიპინების კონგრესმენი — აბსოლუტური ჩემპიონი



**თანამედროვეობის უძლიერესმა მოკრივემ წონითი კატეგორიების მიუხედავად მენი პაკიაომ, რომელზეც უკვე ვწერდით ჩვენი გაზეთის 7 მაისის ნომერში, გაიმარჯვა ფილიპინებზე გამართულ არჩევნებში და კონგრესის ქვედა პალატის წევრი გახდა.**

თავის მშობლიურ პროვინცია სარანგანში მან ორჯერ მეტი ხმები დააგროვა, ვიდრე მისმა მთავარმა მეტოქემ, პოლიტიკური დინასტიის წარმომადგენელმა, ბიზნესმენმა როი ჩონგბიანმა.

თავის პირველხარისხოვან ამოცანად ახალ დეპუტატს მიაჩნია სპორტის განვითარება, აგრეთვე სოფლის მეურნეობის დარგების ფინანსური გაძლიერება.

რაც შეეხება სპორტულ საქმიანობას – მოკრივე-კონგრესმენი რინგზე გავა წლეულს, ნოემბერში – თუ ვინ იქნება მისი მეტოქე, ჯერჯერობით ცნობილი არაა – ის ან ამერიკელი ფლოიდ მეიუეზერი ან მექსიკელი ანტონიო მარგარიტო იქნება. ორთაბრძოლაც ან 6 ანდა 13 ნოემბერს გაიმართება.

## შუბმა მსაჯი კინაღამ იმსხვერპლა

**ახალგაზრდა შუბისმტყორცნელთა შეჯიბრებაზე 12 მაისს ტალინში, სტადიონზე ნატყორცნი შუბი გვერდიდან თავში მოხვდა 77 წლის მსაჯ ელგარ აავიკს. თვითმხილველებმა სასწრაფო დახმარება გამოიძახეს. თუმცა გამოცდილმა საერთაშორისო მსაჯმა იქამდე დამოუკიდებლად ამოიღო შუბი. როდესაც საკაცით გადაჰყავდათ სასწრაფო დახმარების მანქანაში, ის გონზე იყო,**



**მაგრამ შემდეგ გრძნობა დაკარგა, მას საავადმყოფოს ექსტრემულ განყოფილებაში ოპერაცია მოელის.**

როგორც ამბობენ, ამ ინციდენტში თავად აავიკია დამნაშავე, რადგან ის მრავალჯერ გააფრთხილეს, რომ არ შეიძლება შუბის ტყორცნის დროს სექტორში დგომა. უბედურებაც ამის გამო მოხდა, რადგან მან დროზე ვერ მოასწრო დახრა.

## მარისა „ჰარლეის“ მოაჯდა



**კრივის, ფეხბურთის და სპორტული მანქანების დიდი მოყვარული, თანაც ცნობილი ფოტომოდელი მარისა მილერი მონაწილეობდა ახალი მოტოციკლეტის Harley-Davidson გამოცდაში. ორგანიზატორებს არ წაუგიათ მარისას მიწვევით, რომელსაც აღმერთებს ბევრი მამაკაცი მთელ მსოფლიოში. სულ ახლახან ქალიშვილი შევიდა მსოფლიოს ყველაზე სექსუალური ქალების რეიტინგში ჟურნალის FHM ვერსიით. ამ სიაში მარისა ჩამორჩა მხოლოდ შერილ კოულსა და მეგან ფოქსს.**

უნივერსიტეტში სწავლის დროს მარისა თამაშობდა ფრენბურთს. შემდეგაც არაერთხელ უთქვამს: ფოტომოდელი რომ არ გავმხდარიყავი, აუცილებლად ფრენბურთელობას გავაგრძელებდიო. თუმცა მას სპორტი არ მიუტოვებია, მოდური ჟურნალებისთვის გადაღება რომ დაიწყო.

გახსენება

# ბადრი ჰასან ფარვიზფური

ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება საინტერესოა, მაგრამ არსებობენ განსაკუთრებულად გამორჩეული ბიოგრაფიის მქონე ადამიანები – ისეთები, როგორიც ბადრი ჰასან ფარვიზფური იყო.

ერთი წელია, რაც ჩვენთან აღარ არის ჰასანი, ეს უნიკალური ბიოგრაფიის პიროვნება, ვისი ცხოვრებაც არის მაგალითი ერთგულებისა, სამშობლოსა და ოჯახის სიყვარულისა, ცხოვრება სავსე თავგადასავლებით, კეთილი საქმეებით...

შეძლებულ ოჯახში დაბადებულმა და გაზრდილმა ჰასანმა, თავისი მეამბოხე სულის გამო, დიდი გამოცდა მოუწყო თავის თავს.



სრულიად ახალგაზრდამ, ოცდაორი წლის ჰასანმა მოახერხა ირანის შაჰთან შეხვედრა და მოითხოვა ქვეყნის სამსახურში ჩადგომა (სპეციალობით სამხედრო მფრინავი იყოძ და მას ირანის ჯარის პერსპექტივებზე ესაუბრა. შაჰი თანადგომას დაპირდა, თუმცა ჰასანის თხოვნა და გეგმები ბიუროკრატიულ ლაბირინთებში დაიკარგა.

განაწყენებულმა, პროტესტის ნიშნად, გადაწყვიტა წასულიყო ბერძენი პატრიოტების დასახმარებლად, რომლებიც ინგლისელებს ებრძოდნენ. ინგლისელ იმპერიალისტებს იგი თავისი ქვეყნის მტრებად თვლიდა. საბერძნეთში მოხვედრა შეიძლებოდა მხოლოდ არალეგალურად, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ტერიტორიების გავლით. 1948 წლის 11 მაისს, საბჭოთა და ირანელი მესაზღვრეების თვალწინ გადაცურა მდინარე და საბჭოთა ტერიტორიაზე აღმოჩნდა. იგი დააპატიმრეს. საბჭოთა „ჩეკისტების" ძალისხმევა ძირითადად მიმართული იყო იქით, რომ ჰასანს უნდა ეღიარებინა, რომელი ქვეყნის აგენტი იყო, ვისი დავალებით და სად გეგმავდა დივერსიული და ტერორისტული აქტების მოწყობას.

გამომძიებლები სამი თვის განმავლობაში ყოველდღე ითხოვდნენ მხოლოდ ერთს – აღიარებით ჩვენებას და როდესაც უარს ისმენდნენ, იწყებოდა მისი წამება. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებამ ვერაფერი დაუმტკიცა, საბჭოთა „მართლმსაჯულებამ" მას 25 წლით პატიმრობა მიუსაჯა. სასჯელის მოხდა მას „გულაგის არქიპელაგის" თითქმის ყველა ბანაკში მოუწია. ჰასანის ერთ-ერთ ბანაკში ყოფნის საინტერესო ეპიზოდმა თავისი ადგილი ჰპოვა ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალში": რამდენჯერმე გაქცევის მცდელობაც ჰქონდა მას და ამის შემდეგ მისი პირადი აღრიცხვის ბარათზე გაჩნდა წითელი ზოლი, რომელიც მიმანიშნებელი იყო, რომ ის არის საშიში და გაქცევებისადმი მიდრეკილების მქონე პიროვნება.

რვაწლიანი პატიმრობის შემდეგ, უამრავი საჩივრის საფუძველზე, რომ გადაესინჯათ მისი საქმე, საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ მიიღო თავისი შინაარსით თავხედური და ცინიზმით აღსავსე გადაწყვეტილება, რომელიც ჰასანს 1953 წლის 30 დეკემბერს ერთ-ერთ ციხეში გააცნეს. სამხედრო პროკურორი მიმართავდა უზენაეს სასამართლოს – „იმის გამო, რომ ვერ დადასტურდა ბადრი ჰასან ფარვიზფურის უცხო ქვეყნების დაზვერვებთან კავშირის ფაქტი, გთხოვთ პატიმრობის ვადა 25 წლიდან შეუმციროთ 8 წლამდე". უნიკალური დოკუმენტია თავისი სადისტური შინაარსით! ცოტა ხანში ჰასანი გაათავისუფლეს.

ჰასანმა დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. დაიცვა ორი დისერტაცია. 1966 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში – კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართლის განყოფილებაში. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების სფერო ძირითადად საბჭოთა კავშირ-ირანის ურთიერთობებს ეხებოდა. 1993 წლიდან ჰასანმა საქართველოში, ირანის საელჩოში 11 წელი იმუშავა.

ჰასანმა საქართველოში 40 წელზე მეტი ხანი იცხოვრა. თავისი საქმიანობით იგი ბოლომდე იყო ირანის პატრიოტი, საქართველოს ჭეშმარიტი გულშემატკივარი და დამფასებელი. ქართველ მეუღლესთან და ქალიშვილებთან ერთად შექმნა განსაკუთრებული სითბოთი გამორჩეული ოჯახი.

თავის წიგნში, რომელიც გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დაიბეჭდა, იგი ამბობს: „იმედი მაქვს, რომ მოვა დღე, როდესაც მე დავბრუნდები სამშობლოში, რომლის დამოუკიდებლობას და თავისუფლებას მთელი ცხოვრება შევწირე".

ჰასანის გარდაცვალებიდან ერთი წელი გავიდა. ჩვენ იგი გვახსოვს და გვეამაყება, რომ ასეთ ადამიანს ვიცნობდით. მისი ცხოვრების მიზანი აღსრულდა – ირანი დამოუკიდებელი, თავისუფალი და ძლიერი სახელწიფოა.

ერთადერთი ოცნება, რომელიც ვერ განხორციელდა – ჰასანი ირანში დაბრუნებას ვერ მოესწრო. იგი საქართველოში, თავის მეორე სამშობლოში განისვენებს.

საქართველოზე უსაზღვროდ შეყვარებული ბადრი ჰასან ფარვიზფურის მიერ განვლილი ცხოვრება – ადამიანი ღირსების, პრინციპულობის, გაუტეხელობისა და სამართლიანობისათვის ბრძოლის ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენს.

მისი ცხოვრება ზუსტად ესადაგება ომარ ხაიამის სიტყვებს:

„მე არც სამოთხის იმედებით ვყოფილვარ
ქვეყნად,
არც ჯოჯოხეთის მოლოდინით დამიკვნესია".

ჰასანი ძალიან კარგი ადამიანი იყო.

მეგობრები

## ფლორიდა მელია და მარლენ ქუთათელაძე





დედა, 16 მაისს შენი დაბადების დღეა, ხოლო 3 ივნისს – მამასი, ორივემ ადრე მიგვატოვეთ და დაგვტოვეთ ობლები. მამამ 7 წლის წინათ მიგვატოვა, შენ – ჯერ წელიც არ გასულა.

შენ მოხუც დედას მზრუნველობას არ ვაკლებთ, მაგრამ შენ მაინც აკლიხარ. ლუარა მამიდა და გულიკო მამიდა სითბოს და ზრუნვას არ გვაკლებენ, მაგრამ თქვენ მაინც გვენატრებით, გვენატრება თქვენი მოფერება. ყველა კეთილად გიგონებთ – ნათესავები, მეგობრები, ვინც კი გიცნობდათ.

ძალიან გვენატრებით, ჯერ ტკივილი არ გაგვნელებია. მუდამ ნათელში ამყოფოს ღმერთმა თქვენი სული.

შვილები ლელა, გოჩა

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი სამძიმარს უცხადებს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თანათავმჯდომარეს გიორგი ჟორჟოლიანს მამის, საქართველოს დამსახურებული მშენებელ-ინჟინრის

გიორგი ვლადიმერის ძე ჟორჟოლიანის

გარდაცვალების გამო. გამოსვენება 15 V, 14 სთ. ბათუმი, თედო სახოკიას, 43.

---

ვახტანგ ბერულავა, ზიზი, გივი ანთელავები, ლეო ჩიქავა ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუგზარ გოგია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ინფორმაცია

### ძლიერმა წვიმამ კორპუსის სახურავი ჩამოანგრია

ძლიერი წვიმის შედეგად გორში, გელდიაშვილის ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსის სახურავი ჩამოინგრა.

ინციდენტის დროს სახლში მცირეწლოვანი ბავშვები იმყოფებოდნენ, თუმცა მათი ევაკუაცია დროულად მოხერხდა. ძლიერმა წვიმამ და სეტყვამ, რომელიც დაახლოებით 30 წუთი გაგრძელდა, კორპუსის მესამე სართული მთლიანად და მეორე სართულის ჭერი ჩამოანგრია.

ადგილზე სამაშველო სამსახური, შიდა ქართლის რწმუნებული და გორის გამგებელი მივიდნენ.

როგორც მხარის რწმუნებულმა ლადო ვარძელაშვილმა განაცხადა, სტიქიისგან დაზარალებული სამ ოჯახს გამგეობა აღმოუჩენს დახმარებას და მათი ბინების აღდგენას სახელმწიფო ხარჯებით მოხდება.

წვიმამ და სეტყვამ გორის რაიონის სოფლებიც დააზარალა. სეტყვამ მოსავალის 30% გაანადგურა, ასევე დატბორილია საცხოვრებელი სახლების ეზოებიც.

### რამდენჯერაც დათვრება, იმდენჯერ მტკვარში ხტება

მამუკა ბარბაქაძე მტკვარში ბარათაშვილის ხიდიდან გადახტა, რომელიც სამაშველო სამსახურმა დროულად ამოიყვანა. მას სასწრაფო სამედიცინო სამსახურის ექიმებმა აუცილებელი გადაუდებელი დახმარება ადგილზე ჩაუტარეს, რის შემდეგაც ბარბაქაძე საპატრულო პოლიციაში დაკითხვაზე გადაიყვანეს.

თავად მამუკა ბარბაქაძე კი აცხადებს, რომ მტკვარში ხიდიდან გადახტომა მისი იდეა იყო და მსგავსი საქციელის გამეორებას ახალი „მშვიდობის ხიდიდანაც" გეგმავს.

წინასწარი ინფორმაციით, ბარბაქაძე ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

### ავტოსაგზაო შემთხვევა ტრაგიკულად დასრულდა

კახეთის გზატკეცილზე, ლოჭინის ხიდთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა.

„ნისანის" მარკის ავტომობილი მოულოდნელად საპირისპირო მხარეს გადავიდა და კომპანია „ყაზბეგის" კუთვნილ ავტომობილს შეეჯახა.

ადგილზევე დაიღუპა „ნისანის" მძღოლი, ხოლო მეორე ავტომანქანაში მყოფი სამი პირი მსუბუქად დაშავდა, რომლებიც პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

გამოძიება მომხდარის ვერსიებზე მუშაობს. წინასწარი ინფორმაციით, ავარიის ერთ-ერთ მიზეზად „ნისანის" მარკის ავტომობილის მძღოლის ინფარქტი სახელდება.

ჯი-ეიჩ-ენი

ჩვენი კარაბადინი

## გულო, უნდა მიერთგულო!..

### ინფარქტის შესახებ გაგაფრთხილებთ... სტომატოლოგი

**რაც ნაკლები აქვს ადამიანს საკუთარი კბილები, მით მეტი აქვს მას ინფარქტის რისკი, ამტკიცებენ შვედი მეცნიერები.** ისინი 12 წლის განმავლობაში ადევნებდნენ თვალყურს 7 ათას პაციენტს, ვინც დაავადებული იყო პერიოდონტიტით – ძსოვილით, რომელიც უზრუნველყოფს კბილის ფესვის შეერთებას კბილის ბუდესთან. აღმოჩნდა, რომ იმათ, ვისაც 10-ზე ნაკლები საკუთარი კბილი აქვს, ინფარქტისგან სიკვდილის 7-ჯერ უფრო მეტი რისკი აქვთ, ვიდრე მათ, ვისაც 25-ზე მეტი საკუთარი კბილი აქვს.

### მოგვაწვდინეთ ხმა!

**პარკინსონის დაავადების ადრეული ამოცნობის ხერხი, რომელიც ხმის ანალიზს ემყარება, შემოგვთავაზეს მეცნიერებმა ისრაელიდან.** ამ დაავადების მკურნალობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეულ დიაგნოსტიკას – ნეირონების დაღუპვასთან დაკავშირებით დაკარგული კავშირების აღდგენა ხომ შეუძლებელია – შეიძლება მხოლოდ რეგრესის შეჩერება. ამჟამად ამ დაავადების დიაგნოსტირება ხდება კიდურების ტრემოლის, კუნთების შებოჭილობის, ხმის ხრინწიანობის მიხედვით, რაც დაკავშირებულია ხორხის ფუნქციების დარღვევასთან.



პროგრამები, რომლებიც დაამუშავეს ჰაიფის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა, აფიქსირებენ ხმის ტემბრის დამახასიათებელ ცვლილებებს ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მათ გაარჩევს ადამიანის ყური. ვარაუდობენ, რომ ახალ მეთოდიკას გამოიყენებენ იმ ხალხის გამოკვლევის დროს, რომლებიც შედიან პარკინსონიზმის რისკის ჯგუფში.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში"
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

სულიერება

# თამარობას გილოცავთ!



14 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს კეთილმორწმუნე ქართველთა მეფეს ბაგრატიონთა შორის გამორჩეულ გვირგვინოსანს „მზეთამზედ და დედოფალთა დედოფლად, შარავანდედთა უმეტესად აღმობრწყინებულად“ წოდებულ თამარს.

...ცნობილია, რომ ღვთივკურთხეული თამარ მეფის ცხოვრება ძალიან ემსგავსებოდა მენელსაცხებლე დედათა ცხოვრებას, რომელიც აღდგომიდან მე-3, მენელსაცხებელე დედათა კვირიაკეს – 18 აპრილს აღინიშნა კიდეც.

ღვთისმოშიშმა და სიმდაბლით შემკულმა მეფემ მაგალითი მისცა ეკლესიის მესვეურებს, რათა ეზრუნათ ქართველთა სულების გადასარჩენად, რადგან გასულ საუკუნეებში მაჰმადიანთა განუწყვეტელ შემოსევებს საზარელი დაღი დაესვა ქართული ერის სულიერებაზე, მრავალი ბოროტი ჩვეულება შემოჭრილიყო და მოეკიდებინა ფეხი და ვიდრე ღრმად გაიდგამდა ფესვს, იქამდე უნდა ამოძირკვულიყო.

...თამარის მეფობის დროს ბრწყინავდა საქართველო, სასურველი წესიერება დამყარდა ყველგან. ქრისტიანული სიყვარულით შედუღაბებულმა ქართველებმა უფლის მცნებების აღსრულებით მოიპოვეს ღვთის აურაცხელი წყალობა; ზეციდან მადლი უშრეტ წყაროდ მოედინებოდა და ეფინებოდა სრულიად საქართველოს. სწორედ, ამიტომ იქმნებოდა უდიდესი ძეგლები ხელოვნების ყველა დარგში, – დაწყებული ხუროთმოძღვრებით, დამთავრებული ლიტერატურით...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ერთ-ერთ ქადაგებაში ბრძანა: „დაე, წმინდა თამარ მეფის დედობრივი ლოცვით განიწმინდოს თითოეული ჩვენგანის გული და ღვთიური ნათლით გაბრწყინდეს ჩვენი მრავალჭირნახული სამშობლო!“

**გიული ლიპარტია**

დღის კალენდარი

## 14 მაისი



ამოდის 04.43
ჩადის 19.13



ამოდის 04.29
ჩადის 20.01

შემდგომი დღესასწაული ამაღლებისა.

წინასწარმეტყველისა იერემიასი (VI ს. ქრისტეს შობამდე); კეთილმსახურისა თამარისა, დიდისა მეფისა ყოვლისა საქართველოისა (1213წ; ზოსიმე II-ისა, კუმურდოელი ეპისკოპოსისა და ჰიმნოგრაფისა (XVIწ; ღირსმოწამისა (IVწ. ღირსმოწამეთა ათონელთა: ექვთიმესი (1814წ; ეგნატესი (1814წ და აკაკისა (1816წ; მოწამისა რომანოზ ახლისა.

### დაიბადნენ:

**1553 – მარგარიტა დე ვალუა,** ნავარის დედოფალი.

**1727 – თომას გეინსბორო,** ინგლისელი ფერმწერი და გრაფიკოსი. გარდაიცვალა 1788 წელს.

**1771 – რობერტ ოუენი,** ინგლისელი სოციალისტ-უტოპისტი. გარდაიცვალა 1858 წელს.

**1836 – ვილჰელმ სტეინიცი,** გერმანელი მოჭადრაკე, მსოფლიოს პირველი ჩემპიონი. გარდაიცვალა 1900 წელს.

**1921 – სალომე ყანჩელი,** გამოჩენილი მსახიობი. გარდაიცვალა 1985 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1610 – ჰენრიხ IV,** საფრანგეთის მეფე, ბურბონთა დინასტიის პირველი წარმომადგენელი.

**1643 – ლუდოვიკ XIII,** საფრანგეთის მეფე.

**1912 – ავგუსტ სტრინდბერგი,** შვედი მწერალი და დრამატურგი.

**1953 – თამარ აბაკელია,** ფერმწერი, გრაფიკოსი.

### მოვლენები:

**1811 წელი** – გამოცხადდა პარაგვაის დამოუკიდებლობა.

**1904 წელი** – სენტ-ლუისში გაიხსნა მესამე საზაფხულო ოლიმპიური თამაშები.

**1906 წელი** – გაიხსნა სარკინიგზო მოძრაობა სიმპლონის გვირაბში, რომელიც აკავშირებს შვეიცარიას და იტალიას. მისი სიგრძეა 19,8 კმ.

**1954 წელი** – ჰააგაში გაეროს ქვეყნებმა მიიღეს კონვენცია „შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ“.

**1988 წელი** – საბჭოთა ჯარებმა ავღანეთი დატოვეს. დასრულდა ომი, რომელმაც მილიონზე მეტი ავღანელის სიცოცხლე შეიწირა, ხოლო საბჭოთა კავშირმა ოფიციალური მონაცემებით 15 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**პარაგვაი** – დამოუკიდებლობის დღე.

**ლიბერია** – ინტეგრაციის დღე.

**ფილიპინები** – კონსტიტუციის დღე.

**მედიანიუსი**

ხალხის სიყვარული

# ტკბობა „ქართული ხმებით“



**მათთვის, ვისაც უყვარს სულში ჩამწვდომი ქართული სიმღერა, ფესტივალმა „ქართულმა სულმა“ თბილისის საკონცერტო დარბაზში ლეგენდარული ანსამბლის „ქართული ხმების“ სამივე თაობის კონცერტი გამართა და იქ შეკრებილ საზოგადოებას კიდევ ერთი დაუვიწყარი დღე აჩუქა.**

კონცერტში „თბილისის ბიგ-ბენდთან“ ერთად მონაწილეობდნენ ცნობილი ანსამბლები და ესტრადის მომღერლები. ეს იყო მართლაც ქართულის ულის, ქართული სიმღერის ზეიმი და ანსამბლისთვის ფესტივალის ორგანიზატორების მიერ გადაცემული ჯილდო – ოქროს მედალი ქართული სიმღერის პოპულარიზაციისთვის, ღირსეული დაგვირგვინება ამ დღისა.

**დათო აბესაძე:** „ამდენი წელია სცენაზე ვდგავარ და ღელვა ყოველთვის ახლავს, მაგრამ ახლა ორმაგად ვღელავთ. ამ დღის უზომოდ კმაყოფილი ვარ, ეს ჩვენი საერთო დღესასწაულია და ყველას დიდი მადლობა მინდა ვუთხრა სიყვარულისთვის“.

**ჩვენ კი დავამატებთ: „დიდი მადლობა ქართულ ხმებს!“**

**თათია თადუმაძე**

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +11 – +16 |
| ქუთაისი. | +9 – +19 |
| ბათუმი. | +7 – +15 |
| ზუგდიდი. | +7 – +16 |
| თელავი. | +9 – +16 |



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7519 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3318 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6932 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9844 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4681 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1801 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2104 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1797 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5661 ლარი |



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

კადრი



ანეკდოტები

– ეს დაღლილობის მოსახსნელად, ეს – ნერვული დაძაბულობისა, ეს კი დეპრესიისგან თავის დასახსნელად, – ეუბნება ექიმი ივანიჩს.

– გმადლობთ, ექიმო, გმადლობთ, მაგრამ არყის მეტი არაფერი გაქვთ?

* * *



ქართველები გინესის რეკორდების წიგნში ვართ შესატანი, როგორც ხალხი, რომელიც მუდმივად იტანს ყველას და ყველაფერს.

* * *

არ მივიდა, არ ნახა, არ გაიმარჯვა, არც კი დარეკა.

* * *

– კატას აჭამე?

– წყალი ჭამა...

* * *

– ბოლო ანგარიშები ჩავაბარე, ყველა გადასახადი გადავიხადე, მაგრამ მაინც ვერ ვიძინებ – შიმშილისგან აწრიალებული კუჭი არ მასვენებს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.